

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ISSN 1512-1291
EISSN1512-1968

კარდიოლოგია
და
შინაბანი მედიცინა
XXI

დიაბნოსტიკის, პრევენციის, მედიკამენტური და
ქირურგიული მკურნალობის, ინტერვენციული თერაპიის,
მოდულირებისა და ახალი ტექნოლოგიების

მიღწევები და პრობლემები

№ 3-4
(XXVII-XXVIII)

თბილისი
2009

სარედაქციო კოლეგია

ე. ამოსოვა (უკრაინა)	ა. სეკიგუჩი (იაპონია)
ნ. ანგომაჩაღელის (საბერძნეთი)	ბ. ქობულა
პ. ბლუმი (გერმანია)	ნ. ყიფშიძე
ლ. ბოკერია (რუსეთი)	ნ. ყიფშიძე (აშშ)
ი. ბორისოვი (რუსეთი)	რ. შაქარიშვილი
რ. გაგუა	ი. შევჩენკო (რუსეთი)
დ. გიბსონი (ინგლისი)	ე. ჩაზოვი (რუსეთი)
ჟ. დე პოუპი (შვეიცარია)	ბ. ჩაფიძე
ფ. თოდუა	

სარედაქციო საბჭო

ა. ალადაშვილი	ხ. პაჭკორია
ნ. ბაქრაძე	ა. რევიშვილი (რუსეთი)
ზ. ბახუტაშვილი	თ. სანიკიძე
ნ. გოგოხია	ც. სენ (თურქეთი)
გ. დიდავა	ბ. სუკოიანი
ი. დინდარი (თურქეთი)	გ. ტაბიძე
ნ. ემუხვარი	ზ. ფაღავა
თ. თავსელიძე	მ. ფირცხალავა
დ. თელია	ა. ქისტაური
ა. კალოფოუსტისი (საბერძნეთი)	რ. შენგელია
ზ. კაკაბაძე	კ. ყიფიანი
ს. კაპანაძე	გ. ჩახუნაშვილი
მ. კვიტაშვილი	დ. ცისკარიშვილი
დ. კორძაია	თ. ცერცვაძე
თ. ლობჯანიძე	მ. წვერაგა
ვ. მენუნარგია	ბ. წინამძღვრიშვილი
დ. მეტრეველი	ვ. ჭუმბურიძე
ჯ. მოხესი (აშშ)	ი. ჯაში
ს. ორჯონიკიძე	ნ. ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი)
ა. პაპიტაშვილი	

მთავარი რედაქტორი:

მთავარი რედაქტორის მოადგილე:

რედაქციის სამდივნო:

მისამართი:

ტელეფონი:

ელ-ფოსტა:

მ. როგავა

მ. დუდუშაური

თ. ბოჭორიშვილი, ქ. კაპანაძე

380059; ჩაჩავას 3, თერაპიის ეროვნული ცენტრი

(99532) 516498, (99577) 478707, 469650

gisc@posta.ge, mamantirogava@mail.ru

ვებ-გვერდი:

www.gisc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები რეგულარულად “ქართულ რეფერატულ ჟურნალსა” და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИ)-ს რეფერატულ ჟურნალში, მასში გამოქვეყნებული სტატიები შედის მედიცინის მონაცემთა ბაზაში და განთავსებულია ინტერნეტში საქართველოს საერთაშორისო კარდიოლოგიის საზოგადოების ვებ-გვერდზე www.gisc.ge, აგრეთვე იგი შეტანილია ქართულ საძიებო საიტებში: www.internet.ge; www.qartuli.com და www.geres.ge.

ჟურნალის ელექტრონული ვერსია eISSN1512-1968 იგზავნება პარიზის საერთაშორისო ISSN-ის ცენტრში. ჟურნალის ტიპოგრაფიული ბეჭდვითი ვერსია ISSN1512-1291 იგზავნება მსოფლიოს 22 ქვეყნის სამედიცინო და ეროვნულ ბიბლიოთეკებში.

SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

ISSN 1512-1291
EISSN1512-1968

**CARDIOLOGY
AND
INTERNAL MEDICINE
XXI**

DIAGNOSTIC, PREVENTION, DRUG AND SURGICAL TREATMENT, INTER-
VENTIAL THERAPY, MODELLING AND
MODERN TECHNOLOGIES

ACHIEVEMENTS AND PROBLEMS

**№ 3-4
(XXVII-XXVIII)**

TBILISI
2009

EDITORIAL BOARD:

E. Amosova (Ukraine)	D. Gibson (UK)
N. Angomachalelis (Greece)	N. Kipshidze
H. Blum (Germany)	N. Kipshidze (USA)
L. Bokeria (Russia)	B. Kobulia
I. Borisov (Russia)	P. Todua
G. Chapidze	A. Sekiguchi (Japan)
E. Chazov (Russia)	R. Shakarishvili
J. De Paepe (Switzerland)	Ju. Shevchenko (Russia)
R. Gagua	

EDITORIAL COUNCIL:

A. Aladashvili	V. Meunargia
N. Bakradze	J. Moses (USA)
Z. Bakhutashvili	S. Orjonikidze
G. Chakhunashvili	Ch. Pachkoria
V. Chumburidze	Z. Paghava
G. Didava	A. Papitashvili
I. Dindar (Turkey)	M. Pirtskalava
N. Emukhvari	A. Revishvili (Russia)
N. Gogokhia	T. Sanikize
N. Huseinov (Azerbaijan)	C. Sen (Turkey)
I. Jashi	R. Shengelia
A. Kalofoustis (Greece)	G. Sukoiani
Z. Kakabadze	G. Tabidze
S. Kapanadze	T. Tavkhelidze
A. Kistauri	D. Telia
K. Kipiani	D. Tsiskarishvili
M. Kvitashvili	T. Tsertsvadze
D. Kordzaia	B. Tsinamdzghvishvili
T. Lobzhanidze	M. Tsverava
D. Metreveli	

EDITOR-IN-CHIEF:

EDITOR:

ADDRESS:

PHONE:

E-mail:

HOME PAGE:

M. Rogava
M. Gudushauri
T. Bochorishvili
K. Kapanadze
Chachava St., Tbilisi, Georgia, 380059
NATIONAL CENTER OF THERAPY
(9995 32) 516498, (995 77) 478707, 469650
gisc@posta.ge, mamantirogava@mail.ru
www.gisc.ge

The Abstracts of the articles included in "Cardiology and Internal Medicine-XXI" will be published in the Georgian Abstract Journal and in the Journal of the Institute of the Scientific and Technical Information of the Russian Academy of Science (VINITI). Be-si-des, the Abstracts are entered into the Medical Information Database, and could be found in the internet on the web-site of the Georgian International Society of Cardiomyopathy www.gisc.ge.

The information about it is also available on the Georgian search sites: www.internet.ge, www.qartuli.com and www.geres.ge. The electronic version of the journal eISSN1512-1968 is sent to the International ISSM Centre in Paris and the published version of it ISSN1512-1291 is delivered to 22 countries around the world.

კლინიკური მედიცინა

1. ი. ჯაში, მ. თევზაძე, ნ. თავბერიძე
ნებიოლოლით და კარვედილოლით ქრონიკული მეურნალობის
განსხვავებული ეფექტი სისტემურ და თირკმლის ჰემოდინამიკაზე გულის
უკმარისობის დროს..... 11-14
2. გ. ჩაფიძე, დ. იოსელიანი, ლ. კოპალეიშვილი, ლ. რიგვავა, ი. ჩიქობავა
ენდოვასკულური პროცედურები კორონარული სისხლძარღვების მრავლობითი
დაზიანებისას ხანდაზმულ პაციენტებში..... 14-17
3. გ. გორდეზიანი, ნ. ნინუა, რ. სიგუა
ჰერპეს ვირუსით (HV) გამოწვეული ცერებრული დისქემიის კლინიკა და
პათოგენეზი..... 18-20
4. გ. ქავთარაძე, მ. გეგენავა, თ. გეგენავა
ფილტვისმიერი გული და პულმონური ჰიპერტენზიის გაგრძელების სისშირე
რესპირაციული ტრაქტის პათოლოგიით
ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფებში..... 21-24
5. მ. შვანგირაძე, ქ. მათიაშვილი, რ. წივწივაძე
გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა ვეგეტოსისხლძარღვოვანი
დისტონიის დროს ბავშვებში 25-28
6. Г. Элиава, М. Гугешаишвили, Н. Бегишвили, Л. Берилава, Н. Шарашенидзе
Изменение статического и кинетического компонентов механической работы
сердца в условиях относительного физиологического покоя 29-31
7. ლ. ამბღლობელი, თ. შაბურიშვილი
დაუცველი მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს ანგიოპლასტიკის
გამოცდილება საქართველოში..... 32-40
8. რ. ავლაძე, რ. შაქარიშვილი, ზ. ფაღავა
სტრეს-დაკავშირებული კარდიომიოპათიური სინდრომები 41-45
9. მ. როგავა, თ. ბოჭორიშვილი, ნ. გონგაძე, თ. კეზელი
ენდოთელის დისფუნქციის რაციონალური ფარმაკოთერაპია გულის
იშემიური დაავადების მქონე პაციენტებში..... 46-48

პრაქტიკული მედიცინა

1. თ. გეგენავა, მ. გეგენავა, გ. ქავთარაძე, თ. ტყეშელაშვილი
პულმონური ჰიპერტენზიის გაგრძელების სისშირე შინაგან
სნეულებათა პრაქტიკაში 49-52
2. ქ. მათიაშვილი, რ. წივწივაძე, გ. ჩახუნაშვილი, მ. ჯვარიძე,
ს. ჩხეიძე, დ. ჩახუნაშვილი
გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა ეუთირეოიდული
ჩივიის დროს..... 53-56
3. Ю. Зозуля, М. Хиникадзе
Клиника гигантских артериальных внутричерепных аневризм..... 57-60

4. <i>Б. Чахვაдзе, Д. Накашидзе</i> Грыжа запирающего отверстия.....	61-62
---	-------

ბიოგრაფიები

1. თსსუ შინაგან სნეულებათა №1 კათედრა.....	64-66
2. <i>ნ. ნინუა, ც. მანჯგალაძე</i> ქართულ-არაბული და ქართულ-სპარსული სამედიცინო კულტურული კავშირები.....	66-68

კონფერენციის მასალები

1. <i>ფ. პრიმო კაიმი, ე. გროსსინი რ. ბოილო, კ. კოპპო, ფ. სკაპუელლატო, ჯ. ვაკა, ჯ. თეოდორი</i> ორმაგი ნაკერის ტექნიკა პოსტინფარქტული პარკუჭთაშორისი ძგიდის დეფექტის დროს.....	69
2. <i>Н.А. Манак, И.С.Карпова, А.Е. Кароза, С.А.Мацкевич, С.П. Соловей</i> НАРУШЕНИЯ ВАРИАБЕЛЬНОСТИ СЕРДЕЧНОГО РИТМА ПРИ РАННЕМ ПОСТИНФАРКТНОМ КАРДИОСКЛЕРОЗЕ ПОСЛЕ ЧПКА СО СТЕНТИРОВАНИЕМ.....	69-70
3. <i>ჩ. ოგუესუ</i> გულის უკმარისობის გამომწვევი მიზეზები და კონტროლის შესაძლებლობები განაში.....	71
4. <i>С.П.Соловей, Е.С.Атрощенко, С.А.Мацкевич, И.С.Карпова, Н.Г.Кадочкина</i> Функциональ Состояние Эндотелия и Микроциркуляции у Больных Стенокардией Напряжения и Инсулиннезависимым Сахарным Диабетом, Роль Гликемического Контроля.....	71-72
5. <i>გ. ალექსი-მესხიშვილი, მ. პასიკი, ტ. ღრეუსი, ე. ჰენნიგი, თ. კრაბატსკი, რ. ჰეტსერი</i> გულის პარკუჭების დამხმარე აპარატის იმპლანტაციის გამოცდილება შორსწასული გულის უკმარისობის სამკურნალოდ 1400 პაციენტში.....	73-74
6. <i>Н.А. Манак, С.А. Мацкевич, С.П. Соловей, И.С. Карпова, О.А. Барбук, И.Д. Козлов</i> Ангиошемическая и Антиаритмическая Эффективность Тиотриазолина при Лечении Пожилых Больных Стабильной Стенокардией.....	74-75
7. <i>ა. ბლექტინი, ს. პოსტნოვი, ი. ბორისოვი, ე. სიმპნენკო</i> მარცხენა პარკუჭის წნევის სპექტრალური ანალიზი.....	75-76
8. <i>ნ. ყიფშიძე, კ. კაპანაძე</i> კომბინირებული მკურნალობის ჰიპოლიპიდემიური ეფექტურობა გულის იშემიური დაავადების მქონე პაციენტებში.....	76-77

9. *С.П.Соловей, Е.С.Атрощенко, С.А.Мацкевич, И.С.Карпова, Н.Г.Кадочкина*
Особенности Стенокардии и Коронарный Резерв у Больных Инсулиннезависимым
Сахарным Диабетом..... 77-78

10. *ფ. პრიმო კაიმი, ე. გროსსინი*

ლევისიმენდანის ინტრაკორონალური შეყვანა პოსტპერიკარდიოტომიული
გულის უკმარისობის შორს წასული ფორმის დროს..... 78-79

11. *ა.ფრანგიშვილი, ე. პირველაშვილი, კ. ბერია, ლ. ბასილაძე, გ. ჩაფიძე,
ნ. დოლიძე, ლ. ჯანელიძე, ზ. ბახუტაშვილი*

კორონარული შუნტირების ოპერაცია მარცხენა პარკუჭის დაბალი განდევნის
ფრაქციის მქონე პაციენტებში..... 79-80

12. *ი. ბორისოვი, ა. ბლეტიკინი, გ. სიმონენკო*

ურგენტული ქირურგია მარცხენა პარკუჭის ანევრიზმის დროს 81-82

13. *მ. წვერაგა, დ.წვერაგა*

გულის სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებები გაურთულებული არტერიული
ჰიპერტენზიის მქონე პირებში, ექოკარდიოგრაფიული კვლევა..... 82-83

14. *Т.Г.Зубиашвили*

Хроническая сердечная недостаточность (ХСН) у лиц пожилого и старческого
возраста: особенности этиопатогенеза и медикаментозного лечения 83-84

15. *ზ. კაციტაძე, ე. კალოიანი, ლ. სუხიშვილი, ლ. გაშაკიძე, ზ. მათოშვილი,
მ. კობალავა, თ. გუნჯუა, გ. ნაცვლიშვილი, ი. ბერიძე, ო. ურუშაძე,
ი. რუხაძე, ნ.ნ. ყიფშიძე*

მარცხენა პარკუჭის დამხმარე აპარატი, გულის ტერმინალური
უკმარისობის მკურნალობაში..... 85

16. *N. Kipshidze, A. Archvadze, V. Kipiani, T. Gunjua, M. Kobalava, L.Patsia, R. Erbel*
New stents: Experimental and Cinical Studies..... 85

17. *M. Komajda*

European Society of Cardiology 86-88

18. *M. Komajda*

New Evidences in the Prevention of Cardiovascular Events in CAD Patients..... 89-96

19. *J. T Sullebarger*

Percutaneous Therapy for Valvular Heart Disease 96-101

20. *P. E. Vardas*..... 101-106

Atrial Fibrillation New realities and striking questions

განცხადება..... 107

Clinical Medicine

1. *Jashi, M. Tevzadze, N. Tavberidze*
Differential Effect of Chronic Treatment with Nebivolol and Carvedilol
on Systemic and Renal Hemodynamics in CHF 14
2. *G. Chapidze, D. Ioseliani, L. Kopaleishvili, L. Rigvava, I. Chikobava*
Endovascular Procedures during Multivessel Coronary Artery
Disease in Elderly Patients Population 17
3. *M. Gordeziani, N. Ninua, R. Sigua*
The Clinical Characteristics and Pathogenesis of Cerebral Dischaemia
Caused by Herpes Zoster Virus 20
4. *G. Kavtaradze, M. Gegenava, T. Gegenava*
Frequency of Cor Pulmonale and Pulmonary Arterial Hypertension
in Patients with Respiratory Tract Disease 24
5. *M. Shvangiradze, K. Matiashvili, R. Tsivtsivadze*
Condition of Clinical and Cardiovascular System during the Neurocirculatory
Dystonia in Children 27
6. *G. Eliava, M. Gugeshashvili, N. Begishvili, L. Berulava, N. Sharashenidze*
Change of Static and Kinetic Components of Heart Mechanical Work during
Different Types of Respiration in Conditions of Relative Physiological Rest 31
7. *L. Amaghlobeli, T. Shaburishvili*
Experience of Unprotected Left Main Coronary Artery Intervention
in Georgia 39
8. *R. Agladze, R. Shakarishvili, Z. Pagava,*
Stress-related Cardiomyopathic Syndromes 41-45
9. *M. Rogava, T. Bochorishvili, N. Gongadze, T. Kezeli*
Rational Pharmacotherapy of Endothelial Dysfunction in Patients with Ischemic Heart
Disease 47

Practical Medicine

1. *T. Gegenava, M. Gegenava, G. Kavtaradze, T. Tkeshelasvili*
Frequency of Pulmonary Arterial Hypertension in Practice
of Internal Medicine 52-53
2. *K. Matiashvili, R. Tsivtsivadze, G. Chakhunashvili, M. Jvaridze, S. Chkheidze, D. Chakhunashvili*

Cardio-Vascular System and Euthyroid Goiter.....	56-57
--	-------

3. Y. Zozylya. M. Khinikadze

The Clinic of the Giant Intracranial Arterial Aneurysms	60-61
---	-------

4. B. Chaxvadze, D. Nakashidze

Hernia of the Obtural Canal	62-63
-----------------------------------	-------

Biografies

1. TSMU №1 Department of Internal Medicine.....	66
---	----

2. N. Ninua Ts. Manjgaladze

Georgian-Arab and Georgian-Persian Medical Culture Relationship	68
---	----

Conference Materials

1. P.Primo Caimmi, E. Grossini, R. Boido, C. Coppo, F. Scappellato, G. Vacca, G. Teodori

Double Patch Repair Through a Single Ventriculotomy for Ischemic Ventricular Septal Defects.....	69
---	----

2. N.A. Manak, I. S. Karpova, A.E. Karoza, S.A. Matskevich, S.P. Solovei

Impairment of Heart Rhythm Variability in the Early Period of Myocardial infarction during the transcatheter Intervention	70
--	----

3. Ch. Owusu

Reasons and Control of Heart Failure as Seen In Ghana	71
---	----

4. S.P. Solovei, E.S. Atroshchenko, S.A. Matskevichi, I.S. Karpova, N. G. Kadochkina

Endothelial Functional Condition and Microcirculation in Patients with Stable Stenocardia and Diabetes Mellitus Type II, Role of Glycemic Control	72
--	----

5. V. Alexi-Meskishvili, M. Pasic, T. Drews, E. Hennig, T. Krabatsch, R. Hetzer

Experience with Over 1400 Implanted Ventricular Assist Devices for Treatment of End-Stage Heart Failure	74
--	----

6. N.A. Manak, S. A. Matskevich, S.P. Solovei, I.S. Karpova, O.A. Barbuk, I.D. Kozlov

Antiischemic and Antiarrhythmic Effects of Tiotriazoline in the Treatment of Elderly Patients with Stable Angina Pectoris	75
--	----

7. A. Bletkin, S. Postnov, I. Borisov, V. Simpenko

Left Ventricular Pressure Spectral Analysis	76
---	----

8. N. Kipshidze, K. Kapanadze

Hypolipidemic Efficacy of Combined Treatment in Patients with Ischemic Heart Disease	77
---	----

9. S.P. Solovei, E.S. Atroshchenko, S.A. Matskevichi, I.S. Karpova, N. G. Kadochkina Peculiarities of Stenocardia and Coronary Reserve in Patients with Diabetes Mellitus type II	78
10. P. Primo Caimmi, E. Grossini Intracoronary Administration of Levosimendan to Treat Severe Postpericardiotomy Heart Failure	79
11. A. Phrangishvili, E. Pirvelashvili, K. Beria, G. Chaphidze, N. Dolidze, L. Janelidze, Z. Bakhutashvili Coronary Artery Bypass Grafting in Patients with Low Ejection Fraction	80
12. I. Borisov, A. Bletkin, V. Simonenko Urgent Surgery for Left Ventricular Aneurysm	81-82
13. M. Tsverava, D. Tsverava Structural and functional changes of the heart in patients with uncomplicated Arterial Hypertension. Echocardiographic study.....	83
14. T.G. Zubiashvili Chronic Heart Failure in Elderly and Senile Patients: Peculiarities of Etiopathogenesis and Medical Treatment	83-84
15. Z. Katsitadze, V. Kaloiani, L. Sukhishvili, L. Vashakidze, Z. Matoshvili, M. Kobalava, T. Gunjua, V. Nacvlashvili, I. Beridze, O. Urushadze, I. Rukhadze, N. Kipshidze Ventricular Assist Device in Terminal Heart Failure.....	84-85
16. N. Kipshidze, A. Archvadze, V. Kipiani, T. Gunjua, M. Kobalava, L. Patsia, R. Erbel New stents: Experimental and Clinical Studies.....	85
17. M. Komajda, FESC President-Elect of the ESC European Society of Cardiology	86-88
18. M. Komajda New Evidences in the Prevention of Cardiovascular Events in CAD Patients.....	89-96
19. J. T. Sullebarger Percutaneous Therapy for Valvular Heart Disease	96-101
20. P. E. Vardas Atrial Fibrillation New realities and striking questions	101-106
Statement	107

ნებივოლოლით და კარვედილოლით ქრონიკული მეურნალობის განსხვავებული ეფექტი სისტემურ და თირკმლის ჰემოდინამიკაზე გულის უკმარისობის დროს

ი. ჯაში, მ. თევზაძე, ნ. თავბერიძე

აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახ. კარდიოლოგიის ინსტიტუტი

გულის ქრონიკული უკმარისობა (გკუ) წარმოადგენს უდიდეს პრობლემას თანამედროვე კლინიკური კარდიოლოგიისათვის [1]. მიუხედავად იმისა, რომ გკუ ხასიათდება ცუდი პროგნოზით და ჰოსპიტალიზაციის მაღალი სიხშირით, მისი მართვა დღემდე არ არის სრულყოფილი [2,3].

გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში სიმპატიკური აქტივობის ზრდა დაავადების ერთ-ერთ ადრეულ გამოძახილს წარმოადგენს. ეს შესაძლოა იწახოს, როცა დაავადება ჯერ კიდევ ასიმპტომურად [4] მიმდინარეობს და შემდგომ იმატებს, როგორც დაავადების დამძიმების შედეგი [5]. ამჟამად, უმრავლესობა ხანგრძლივი კვლევების ამტკიცებს ჰიპოთეზას, გულის უკმარისობის დროს ნეიროჰუმორალური [6], უფრო სწორად კი სიმპატოადრენერგული სისტემის როლის არსებობაზე [7]. ეს კვლევები აჩვენებენ, რომ გულის სიმპატიკური აქტივობის ზრდა შესაძლოა წარმოადგენდეს მიოკარდიუმის ფუნქციონირების პროგრესულ შემცირების ყველაზე დიდ მიზეზს და ასევე უარყოფითი გავლენა აქვს გულის უკმარისობის მქონე პაციენტთა პროგნოზზე.

ექსპერიმენტული [8] და კლინიკური კვლევები [9] აჩვენებენ, რომ ბეტა-ბლოკერებით ქრონიკული მეურნალობა მნიშვნელოვანწილად აუმჯობესებს მარცხენა პარკუჭის ფუნქციონირებას გულის უკმარისობის დროს. ამ პრეპარატების ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება უკურნალობის ყველა ის ცვლილებები მოგვცეს, რაც მარცხენა პარკუჭის რემოდელირებასთან, მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის გაზრდასთან არის ასოცირებული და რომელიც უფრო მნიშვნელოვან თერაპიულ საშუალებებს წარმოადგენს ვიდრე სხვა.

დღემდე არასრულად არის შესწავლილი ბეტა-ბლოკატორების გავლენა სისხლის მიმოქცევის რეგიონალურ და მიკროცირკულატორულ დონეებზე. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა საკითხი ამ პრეპარატების მოქმედების შესწავლის შესახებ თირკმლის ჰემოდინამიკაზე და მის ფუნქციაზე გულის ქრონიკული უკმარისობის დროს.

როგორც ცნობილია, თირკმლის ფუნქცია და ჰემოდინამიკა მთლიანობაში ასახავენ სისხლის მიმოქცევის მდგომარეობას. ამასთანავე, უდაოა თირკმლის მნიშვნელოვანი როლი სისხლის მიმოქცევის მოშლის პროგრესირების დროს [10].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცნობები ბეტა-ბლოკატორების რენალური ეფექტების შესახებ ლიტერატურაში იშვიათად გხვდება.

ჩვენი შრომის მიზანს წარმოადგენს გულის ქრონიკული იშემიური დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფებში სისხლის მიმოქცევის ქრონიკული უკმარისობის ბეტა-ბლოკატორებით მეურნალობის მეთოდის სრულყოფა, მასში თირკმლის როლის გათვალისწინებით.

მასალა და მეთოდები: შესწავლილ იქნა 52-69 წლის 96 მამაკაცი, რომელთაც გულის ქრონიკული იშემიური დაავადების შედეგად აღენიშნებოდათ გულის უკმარისობა (II-III NYHA-ს კლასიფიკაციით). მეურნალობის ტიპის მიხედვით ავადმყოფები დაყოფილ იქნენ 3 ჯგუფად: I ჯგუფის 29 ავადმყოფს უტარდებოდა ტრადიციული მეურნალობა ACE-ინჰიბიტორებითა (ან ანგიოტენზინ II რეცეპტორების ბლოკატორებით, თუ არ იყო ტოლერანტობა ACE-ინჰიბიტორების მიმართ) და შარდმდენი საშუალებებით, II ჯგუფის 33 ავადმყოფი ღებულობდა ნებივოლოლს (2,5 მგ 2-ჯერ დღეში), III ჯგუფის 34 ეძლეოდათ კარვედილოლი (12,5 მგ 2-ჯერ დღეში). ყველა ავადმყოფს უტარდებოდა მწვავე ფარმაკოლოგიური სინჯი ბეტა-ბლოკატორებით 12-თვიანი მეურნალობის წინ. თირკმლის ფუნქცია ისაზღვრებოდა ენდოგენური კრეატინინის კლირენსით, თირკმლის ჰემოდინამიკა – კარდიოტრასტის კლირენსით. თირკმლის სისხლძარღვთა წინააღმდეგობა გამოთვლილ იქნა ჰომესის ფორმულებით. ნატრიუმის და კალიუმის იონების კონცენტრაცია ნახული იქნა ბიოქიმიური ანალიზატორის საშუალებით. ცენტრალური

ჰემოდინამიკის პარამეტრები ისინჯებოდა ექოკარდიოგრაფიულად, ტეტრაპოლარული რეოგრაფიით. გულის ქრონიკული იშემიური დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფთა შესწავლილი მაჩვენებლების საშუალო სიდიდეები იყო შემდეგი: გულისცემის სიხშირე (გს) – $75 \pm 1,3$ დარტყმა/წთ; სისტოლური არტერიული წნევა (საწ) – $135 \pm 2,1$ mm Hg; დიასტოლური არტერიული წნევა (დაწ) – $80 \pm 1,1$ mm Hg; წუთმოცულობა (წმ) $6,45 \pm 0,1$ ლ.წთ; გულის ინდექსი (გი) – $3,62 \pm 0,1$ ლ.წთ/მ²; დარტყმითი მოცულობა (დმ) – $85,6 \pm 1,5$ მლ; დარტყმითი ინდექსი (დი) – $47,9 \pm 0,7$ მლ/მ²; საერთო პერიფერიული წინააღმდეგობა (სპწ) – $1231,1 \pm 27,5$ დინ.წმ.სმ⁻⁵; ხვედრითი პერიფერიული წინააღმდეგობა (ხპწ) – $27,2 \pm 0,7$ პირობითი ერთეული; წუთობრივი დიურეზი (წდ) – $1,63 \pm 0,1$ მლ/წთ; გორგლოვანი ფილტრაცია (გფ) – $80,4 \pm 2,5$ მლ/წთ; კრეატინინი სისხლში – $73,5 \pm 3,4$ მკმოლ/ლ; მილაკოვანი რეაბსორბცია(მრ) – $97,98 \pm 0,1\%$; ეფექტური პლაზმის დინება თირკმელში (ეპთ) – $504 \pm 12,5$ მლ/წთ; ეფექტური სისხლდინება თირკმელში (ესთ) – $895 \pm 21,6$ მლ/წთ; ფილტრაციული ფრაქცია (ფფ) – $16 \pm 0,3\%$; წუთმოცულობის თირკმლის ფრაქცია (წთფ) – $14 \pm 0,3\%$; თირკმლის სისხლძარღვთა საერთო წინააღმდეგობა (თსწ) – $9409 \pm 236,8$ დინ.წმ.სმ⁻⁵; თირკმლის სისხლძარღვთა აფერენტული წინააღმდეგობა (თსაწ) – $6595 \pm 210,6$ დინ.წმ.სმ⁻⁵; თირკმლის სისხლძარღვთა ეფერენტული წინააღმდეგობა (თსეწ) – $1469 \pm 31,5$ დინ.წმ.სმ⁻⁵. კვლევის შედეგები დამუშავებულია ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით.

შედეგები: ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ნებივოლოლი და კარვედილოლი არიან ეფექტური და ტოლერანტული გულის უკმარისობიან ავადმყოფთა მკურნალობაში. ამ პრეპარატების მწვავე ფარმაკოლოგიური სინჯის შედეგები მოყვანილია ცხრილ №1-ში.

ცხრილი №1: ნებივოლოლის და კარვედილოლის ერთჯერადი დოზების მიღების შედეგები

მაჩვენებლები	ნებივოლოლი		კარვედილოლი	
	საწყისი	2 საათი	საწყისი	2 საათი
გს დარტ/წთ	70 ± 4	60 ± 2^a	69 ± 5	65 ± 3
საწ mm Hg	139 ± 7	134 ± 7	131 ± 8	127 ± 10
დაწ mm Hg;	75 ± 4	73 ± 4	79 ± 5	78 ± 7
წმ ლ/წთ	$5,6 \pm 0,4$	$4,7 \pm 0,6^a$	$5,5 \pm 0,3$	$5,2 \pm 0,3$
ესთ მლ/წთ	633 ± 18	750 ± 22	619 ± 32	812 ± 47^b
წთფ %	$11,3 \pm 0,6$	$15,9 \pm 1^b$	$11,2 \pm 0,9$	$15,6 \pm 1,2^b$
თგფ მლ/წთ	68 ± 1	71 ± 2	68 ± 3	64 ± 2^a

a p<0,05, საწყისთან შედარებით

b p< 0,01, საწყისთან შედარებით

კარვედილოლით მოქმედებისას ნაკლებად იცვლებოდნენ გულისცემის სიხშირე, წუთმოცულობა და გორგლოვანი ფილტრაცია. კარვედილოლი მეტად აუმჯობესებდა ეფექტურ სისხლდინებას თირკმელში, ორივე პრეპარატი ამცირებდა თირკმლის სისხლძარღვთა საერთო წინააღმდეგობას: 24%-ით კარვედილოლი, ხოლო ნებივოლოლი – 15%-ით.

12-თვიანი ბეტა-ბლოკატორებით მკურნალობისას გაუმჯობესდა უკმარისობის NYHA-ს კლასიფიკაციით და ცხოვრების ხარისხი, გაიზარდა 6-წუთიანი სიარულის მანძილი. ორივე პრეპარატის ასეთი მოქმედება არ იყო განსხვავებული. ავადმყოფები კარგად იტანდნენ პრეპარატების შემოთავაზებულ დოზებს. ავადმყოფთა წონა, კრეატინინის კონცენტრაცია სისხლში არ იქნა შეცვლილი ამ პრეპარატებით მკურნალობისას. ინფორმაცია ზოგიერთ მაჩვენებელზე მოყვანილია ცხრილ №2-ში.

როგორც ვხედავთ, მეტოპროლოლით კურსობრივი მკურნალობისას გაიზარდა წუთმოცულობა, გორგლოვანი ფილტრაცია, ნაკლებად შემცირდა გულისცემის სიხშირე, კარვედილოლთან შედარებით. ეფექტური სისხლდინება თირკმელში და თირკმლის სისხლძარღვთა საერთო წინააღმდეგობა იცვლებოდნენ მსგავსად.

ცხრილი №2: ნებივოლოლით და კარვედილოლით კურსობრივი მკურნალობის შედეგები

a	მაჩვენებლები	ნებივოლოლი		კარვედილოლი	
		საწყისი	12 თვე	საწყისი	12 თვე
	გს დარტ/წთ	70 ± 4	68 ± 1 ^a	69 ± 5	64 ± 2
	საწ mm Hg	139 ± 7	133 ± 5	131 ± 8	122 ± 4
	დაწ mm Hg;	75 ± 4	72 ± 3	79 ± 5	75 ± 3
	წმ ლ/წთ	5,6 ± 0,4	5,8 ± 0,6 ^a	5,5 ± 0,3	5,5 ± 0,1
	ესთ მლ/წთ	633 ± 18	770 ± 14	619 ± 32	782 ± 16
	წთფ %	11,3 ± 0,6	13,2 ± 0,4 ^a	11,2 ± 0,9	14,2 ± 0,4
	თგფ მლ/წთ	68 ± 1	71 ± 2 ^a	68 ± 3	68 ± 2

p<0,05, კარვედილოლითა და ნებივოლოლით შედარებით

ჩვენი შედეგები გვიჩვენებენ, რომ ნებივოლოლის და კარვედილოლის დადებითი ეფექტი თირკმლის ფუნქციასა და ჰემოდინამიკაზე განპირობებულია არა მარტო ცენტრალური ჰემოდინამიკის ცვლილებებით, არამედ უშუალო მოქმედებით თირკმელზე. მატულობს გულის უკმარისობის დროს სისხლძარღვთა კედლების რეგიდულობით დაქვეითებული ნატრიურეზი და დიურეზი. ქვეითდება თირკმლის სისხლძარღვთა წინააღმდეგობა. ამით არის განპირობებული ვაზოდილატაცია.

Differential Effect of Chronic Treatment with Nebivolol and Carvedilol on Systemic and Renal Hemodynamics in CHF

I. Jashi, M. Tevzadze, N. Tavberidze

M. Tsinamdzgvrishvili Institute of Cardiology, Tbilisi, Georgia

Both Nebivolol (N) and Carvedilol (C) produce hemodynamic and clinical benefits in patients with chronic heart failure (CHF): C exerts greater antiadrenergic effects than N, but it is unknown this pharmacological difference results in hemodynamic and clinical differences and renal function and hemodynamics between 2 drugs.

96 male pts, aged 52 to 69, with CHF (II-III NYHA classification) due to chronic forms of coronary heart disease were examined. The pts were divided in 3 groups depending on the treatment: I group (29 pts) received ACE-inhibitors and diuretics; N 2.5 mg bid was administered to 33 pts (II group) and C 12,5 mg bid – to 34 (III group). Acute pharmacological test followed by twelve-month course of N or C treatment was performed in each pts. Renal function was assessed by endogenous creatinine clearance, renal hemodynamics parameters – by cardiotrast clearance. Sodium and potassium ion concentration was determined by biochemical analyzer, sodium and water excretion was calculated via formula. Central hemodynamic was determined by echocardiography, tetrapolar rheography.

After twelve-month of treatment both N and C improved NYHA class, 6-minute walk distance, and quality-of-life scores (all $p<0,05$ from baseline), and there were no differences between the 2 treatments.

Increased glomerular filtration rate (GFR) and effective renal blood flow (ERBF) were observed in the course of treatment with N (GFR – 68 ± 1 ml/min before treatment vs. 71 ± 2 ml/min after treatment, $p<0,05$; ERBF – 633 ± 18 ml/min vs. 770 ± 14 ml/min, $p<0,01$, respectively). N increased renal sodium and water excretion accordingly by 38,1-84,6% and 26,4-70,8%. The renal vascular resistance decreased by 15%. The change in the C group was significantly greater than in the N group, especially about concerning ERBF and renal vascular resistance.

Beneficial effects of N or C on renal function and hemodynamic parameters were observed in pts with CHF, which appears to be not only the result of central hemodynamic changes, but in greater extent was due to direct renal action of N and C. Improved natriuresis and diuresis decrease the rigidity of vessel's wall, which is marked in CHF due to high sodium concentration, and also decrease the compression of vessels due to interstitial edema. Renal vascular resistance decreased. This stimulates the potentiating of vasodilatation.

ლიტერატურა:

1. Cleland J. Contemporary management of heart failure in clinical practice. Heart 2002; 88 (Supl. II): 5-8.
2. Hood S, Taylor S, Rooves A, Crook AM, Tlusty P, Cohen J, et al. Are there age and sex differences in the investigation and treatment of heart failure? A population-based study. Br J Gen Pract 2000; 50: 559-63.

3. McMullan R, Silke B. A survey of the dose of ACE inhibitors prescribed by general physicians for pts with heart failure. Postgrad Med J 2001; 77: 765-8.
 4. Rundqvist B, Elam M, Bergmann-Sverrisdottir Y, Eisenhofer G, Friberg P. Increased cardiac adrenergic drive precedes generalized sympathetic activation in human heart failure, circulation 1997; 95:169-175.
 5. Levine TB, Francis GS, Goldsmith SR, Simon A, Cohn JN. Activity of the sympathetic nervous system and renin-angiotensin system assessed by plasma hormone levels and their relationship to hemodynamic abnormalities in congestive heart failure. Am J Cardiol 1982; 49: 1659-1666.
 6. Parker M. The neurohumoral hypothesis: A theory to explain the mechanism of disease progression in heart failure. J Am Coll Cardiol 1992; 20: 248-254.
 7. Bristow MR. Mechanism of action of beta-blocking agents in heart failure. Am J Cardiol 1997; 80: 26L-40L.
 8. McDonald KM, Rector T, Carlyle PF, Francis GS, Cohn JN. Angiotensin-converting enzyme inhibition and beta-adrenoceptor blockade regress established ventricular remodeling in a canine model of discrete myocardial damage. J Am Coll Cardiol 1994; 24: 1762-1768.
 9. Lechat PP, Parker M, Chalon S, Cucherat M, Arab T, Boissel JP. Clinical effects of beta-adrenergic blockade in chronic heart failure. A meta-analysis of double-blind, placebo-controlled, randomized trials. Circulation 1998; 98: 1184-1191.
 10. Dzau VJ. Renal and circulatory mechanisms in congestive heart failure. Kidney Int 1987; 31: 1402-15.
-

ენდოვასკულური პროცედურები კორონარული სისხლძარღვების მრავლობითი დაზიანებისას ხანდაზმულ პაციენტებში

*გ. ჩაფიძე, დ. იოსელიანი, ლ. კოპალეიშვილი, ლ. რიგვავა, ი. ჩიქობავა
აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი, ქ. მოსკოვის
ინტერვენციული კარდიო-ანგიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი*

კვლევის მიზანი: ხანდაზმულ პაციენტებში კორონარული სისხლძარღვების მრავლობითი დაზიანებისას, ენდოვასკულური პროცედურების ადრეული და შორეული შედეგების შეფასება:

1. შეფასდეს პაციენტების კლინიკური მდგომარეობა, პროცედურის ჩატარებიდან საშუალოდ 6 თვის შემდეგ.
2. შეფასდეს შორეულ პერიოდში კორონარული სისხლძარღვების ანგიოგრაფიული მდგომარეობა.
3. შეფასდეს პროცედურის გართულებების რისკი.

კვლევაში ჩართულია 20 პაციენტი 60 დან 74 წლამდე, 20 პაციენტიდან 16 პაციენტს 2 სისხლძარღვზე 2 პროცედურა ჩაუტარდა, 2 პაციენტს - 3 სისხლძარღვზე 3 პროცედურა ჩაუტარდა, 1 პაციენტს - 2 სისხლძარღვზე 3 პროცედურა, ხოლო კიდევ 1 პაციენტს - 3 სისხლძარღვზე 4 პროცედურა.

ყველა პაციენტს 6 თვიდან 2 წლამდე შუალედში ჩაუტარდა საკონტროლო კორონაროგრაფია, შეფასდა კლინიკა, რესტენოზის შემთხვევაში ჩატარებულ იქნა განმეორებითი ანგიოპლასტიკა.

სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, რომ 60 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის 50% მეტი დაავადებულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით. საზოგადოების განვითარების ტემპის ზრდამ და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდამ. XX საუკუნის ბოლოდან გამოიწვია პოპულაციაში ასაკობრივი ჯგუფის გადანაცვლება, გაიზარდა წილი ხანდაზმული და მოხუცებული პაციენტების.

ყოველწლიურად ხანდაზმული პაციენტების ხაოდენობა იზრდება 2,4 %. სხვადასხვა პროგნოზული მონაცემით 2020 წლისთვის ხანდაზმული და მოხუცებული ადამიანების რიცხვი გაიზრდება 1 მილიარდამდე [1].

ბოლო პერიოდამდე გავრცელებული იყო აზრი ხანდაზმულ და მოხუცებულ პაციენტებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მხოლოდ სიმპტომური მკურნალობის შესახებ, რადგან არსებობდა მოსაზრება, რომ აქტიური მედიკამენტური თერაპია ამ ასაკში უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს სიცოცხლის პროგნოზზე. მიუხედავად ამისა ბოლო დროის ფართომასშტაბიანი კვლევები ამტკიცებენ, რომ პაციენტის ასაკი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს არ წარმოადგენს შემზღუდავ ფაქტორს აქტიური მედიკამენტური, ენდოვასკულარული და ქირურგიული მკურნალობისთვის

ამას გარდა, რადგან საერთო რისკი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გართულების ხანდაზმულ პაციენტებში შედარებით მაღალია, ვიდრე ახალგაზრდა პაციენტებში, აქტიური მედიკამენტური, ენდოვასკულარული ან ოპერაციული მკურნალობა შესაბამისად უფრო ეფექტურია [2,3].

ხანდაზმულ პაციენტებში ისევე როგორც სხვა ასაკობრივ ჯგუფებში აქტიური მკურნალობის ძირითადი მიზანია ცხოვრების ხარისხის და ხანგრძლივობის გაზრდა, რაც გერიატრიული საფუძვლებიდან გამომდინარე უმრავლეს შემთხვევაში მიღწევადია [4].

შვეიცარიის 14 წამყვან კლინიკაში რამოდენიმე წელია მიმდინარეობს კვლევა ინვაზიური ან მედიკამენტური თერაპიის ეფექტურობაზე ხანდაზმულ პაციენტებში მწვავე კორონარული სინდრომით. შუალედური შედეგები მოწმობენ, რომ მიუხედავად არჩეული მკურნალობის ტაქტიკისა ორივე ჯგუფის პაციენტები აღნიშნავენ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, თუმცა ინვაზიური მკურნალობის ჯგუფში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ინდექსი იყო შედარებით მაღალი, ამას გარდა მედიკამენტური მკურნალობის ჯგუფში 2,5 ჯერ მეტად დაფიქსირდა ლეტალური გამოსავალი და ჰოსპიტალიზაცია მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ან არასტაბილური სტენოკარდიის დიაგნოზით [5].

მსოფლიოში ყოველწლიურად 1 000 000-ზე მეტი ენდოვასკულური პროცედურა ტარდება პაციენტებში კორონარული პათოლოგიით, აქედან წილი პაციენტების რომელთაც უტარდებათ ენდოვასკულური პროცედურები კორონარული სისხლძარღვების მრავლობით დაზიანების გამო შეადგენს 60-დან 75 %-მდე, ე.ი წელიწადში 600 000-750 000 პროცედურა

ავტორების უმრავლესობა კორონარული სისხლძარღვების მრავლობით დაზიანებად მიიჩნევს 2 ან 3 ძირითადი კორონარული არტერიის (წინა დასწერივი არტერიის, მარჯვენა კორონარული არტერიის, შემომხვევი არტერიის) სისტემაში არსებულ ჰემოდინამიკურად მნიშვნელოვან (>50%) შევიწროებას მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს დაზიანება განსაკუთრებულ ვარიანტად არის გამოყოფილი და ცალკე ჯგუფს განეკუთვნება.

მასალა და მეთოდები: კვლევა მიმდინარეობდა ქ. მოსკოვის ინტერვენციული კარდიოანგიოლოგიის სამეცნიერო კვლევით ცენტრში, (ცენტრის დირექტორი, ქ. მოსკოვის მთავარი კარდიოლოგი დ. იოსელიანი) 1999-2003 წლებში. კვლევაში ჩართულია 20-პაციენტი საშუალო ასაკი 60 ± 14 , 16-მამაკაცი, 4-ქალი.


კლინიკაში შემოსვლისას 4 პაციენტს აღენიშნებოდა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, 6 პაციენტს არასტაბილური სტენოკარდია, 10 პაციენტს II-III ფ.კ სტაბილური სტენოკარდია.

კვლევაში ჩართული 20 პაციენტიდან 16 პაციენტს 2 სისხლძარღვზე 2 პროცედურა ჩაუტარდა, 2 პაციენტს – 3 სისხლძარღვზე 3 პროცედურა

ჩაუტარდათ, 1 პაციენტს – 2 სისხლძარღვზე 3 პროცედურა, ხოლო კიდევ 1 პაციენტს – 3 სისხლძარღვზე 4 პროცედურა.

20 პაციენტს ჩაუტარდა 45 ენდოვასკულური პროცედურა კორონარულ სისხლძარღვებზე: წინა დასწვრის არტერიაზე -13 პროცედურა, შემომხვევ არტერიაზე - 16 პროცედურა, მარჯვენა კორონარულ არტერიაზე - 12 პროცედურა, დიაგონალურ ტოტზე - 3 პროცედურა, მარგინალურ ტოტზე-1 პროცედურა. პროცედურების 35,5 % ჩატარდა შემომხვევ არტერიაზე, 28,8% წინა დასწვრივ არტერიაზე, 26,6% მარჯვენა კორონარულ არტერიაზე, 8,8% მარგინალურ ტოტზე (იხ. გრაფიკი I). 19 პაციენტს ყველა პროცედურა ჩაუტარდა 1 ეტაპად, 1 პაციენტს 1 კვირის შუალედით. ჩატარდა 8 ბალონური ანგიოპლასტიკა და 25 პირდაპირი და 12 არაპირდაპირი სტენტირება.

გრაფიკი №1. ჩატარებული პროცედურების წილი კორონარული სისხლძარღვების მიხედვით



შენიშვნა: 1-CX – შემომხვევი არტერია 2-LAD- წინა დასწვრივი არტერია, 3-RCA-მარჯვენა კორონარული არტერია, 4-MB-მარგინალური ტოტი

შედეგები და განხილვა: ყველა პაციენტს ჩაუტარდა საკონტროლო კორონაროგრაფია 6 თვიდან 2 წლამდე შუალედში, რესტენოზი გამოვლინდა 13%-ში (6 სისხლძარღვი), 3 (6,0%) შემთხვევაში ჩატარდა განმეორებითი ანგიოპლასტიკა კარგი ანგიოგრაფიული შედეგით. 1 შემთხვევაში (2,0%) ოკლუზირებული სისხლძარღვის რეკანალიზაციის მცდელობა გართულდა ძლიერი ანგინოზური ტკივილით, კარდიოგრამაზე აღინიშნა გარდამავალი იშემიის ნიშნები. ეი. ინტრაპროცედურული გართულებების რისკმა შეადგინა 2,0 %. პაციენტების 75% განმეორებითი გეგმიური ჰოსპიტალიზაციისას ანგინოზური ტკივილის ეპიზოდები არ აღენიშნებოდა (15 პაციენტი), 2 შემთხვევაში სტენოკარდიის კლასი შემცირდა (სტაბილური სტენოკარდია III გადავიდა II ფ.კ-ში) რაც შეადგენს 10%, 3 შემთხვევაში ისევ განახლდა ანგინოზური ტკივილი, რაც შეადგენს 15%, აქედან 1 შემთხვევაში ჩატარდა in-stent სტენოზის განმეორებითი ანგიოპლასტიკა, კარგი ანგიოგრაფიული შედეგით. აღნიშნული პროცედურების კლინიკური წარმატება შეადგენს 85-87%.

დასკვნა:

1. ხანდაზმულ პაციენტებში აღნიშნული პროცედურების კლინიკური წარმატება შეადგენს 85-87%.
2. რესტენოზი გამოვლინდა მხოლოდ 13%-ში, 87% აღინიშნებოდა კარგი ანგიოგრაფიული შედეგი.
3. ინტრაპროცედურული გართულებების რისკმა შეადგინა 2,0 %.

დღესდღეისობით საკამათო თემად რჩება რევასკულარიზაციის მეთოდი (კორონარული შუნტირება თუ კორონარული ანგიოპლასტიკა) კორონარული სისხლძარღვების მრავლობითი დაზიანებისას.

კორონარული სისხლძარღვების მრავლობითი დაზიანებისას, თუ პაციენტს აღენიშნება მძიმე თანმხლები დაავადება, რომელიც ზრდის კორონარული შუნტირების ინტრაოპერაციულ რისკს, ან პაციენტი უარს ამბობს ოპერაციულ მკურნალობაზე, და ამასთან აქვს ხანდაზმული ასაკი კორონარული ანგიოპლასტიკა კორონარული შუნტირების ალტერნატიული მეთოდია [8].

Endovascular Procedures during Multivessel Coronary Artery Disease in Elderly Patients Population

G. Chapidze, D. Ioseliani, L. Kopaleishvili, L. Rigvava, I. Chikobava
Acad. G.Chapidze Emergency Cardiology Center, MoscowInterventional Scientific-Research Center of Angio-Cardiology

The purpose of the work is estimation of the early and the distant results of the endovascular procedures in the elderly patients with multivessel coronary artery disease.

20 patients (60-74 years old) were involved in the research.

It was found out: 1. The clinical success of the mentioned procedures is 85-87% in the elderly

2. restenose turned out to be only in 13%. Good angiographic results were mentioned in 87% of patients. 3. The risk of the interprocedural complications was 2%.

ლიტერატურა:

1. Anderson H.V. Restenosis after coronary angioplasty. Dis Mon.1993; 39: 613-670.
2. Bates E. Bell D.E.Grill et. al. Long- Term outcome of women Compared with men after Succesfull Coronary angioplasty. Circulation. 1995; 91:2876-2881.
3. Bentivoglio L.G., Holubkov R., Kelsey S. F. et al. Short and long term outcome of percutaneous transluminal coronary angioplasty in unstable versus stable angina pectoris a report of the 1985-1986 NHLBI PTCA registry. Cathet Cardiovasc Diag.1991;23:227-38.
4. Berger, M. R. Bell et. al. Effect of restenosis after an Earlier Angioplasty at another coronary site on the Frequency of Restenosis after a subsequent coronary angioplasty. Am. J. Cardiol.1992; 69:1086-1088.
5. H. Bonnier, P. Bronzwaer., R. Michels and M. El. Gamal. Long term follow up of 100 patients with left anterior descending artery lesions treated with Percutaneous Transluminal coronary angioplasty. European Heart Journal.1989;10: 49-51.
6. .Иоселиани Д.Г., Филазов А.А., Эль-Хатиб Х. Транслюминальная баллонная ангиопластика у больных острым инфарктом миокарда. Кардиология 1995;6:30-5.
7. 7 Bergan JJ, Wilson SE, Wolf J, et al. Unexpected, late cardiovascular effects of surgery artery disease. Arch Surg 1992;127:1119.
8. 8 Coronary artery bypass surgery versus percutaneous coronary intervention with stent implantation in patients with multivessel coronary artery disease (the Stent or Surgery trial): a randomised controlled trial. Lancet 2002;360(9338):965-70.
9. Henderson A, Effency D. Morbidity and mortality after abdominal aortic surgery in a population of patients with high cardiovascular risk. Aust NZ J Surg 1995;65:417-20.
10. Iniguez A., Macaya C, Alfonso F, et al. Early angiographic changes of side branches arising from a Palmaz-Schatz stented coronary segment: result and clinical application. Ibid. 1994;23:911-5.
11. Kadel S, Burger W, Hartmann A, et al. Long-term follow-up in 686 patients with attempted reopening of chronic coronary occlusion. Circulation 1993;88:1505.
12. Marco J. The Paris Course on revascularization. May 2000. Paris: Europa, 2000. Pp. 65-79.

ჰერპეს ვირუსით (HV) გამოწვეული ცერებრული დისკემიის კლინიკა და პათოგენეზი

გ. გორდეზიანი, ნ. ნინუა, რ. სიგუა
თსსუ, ნერვულ სნეულებათა კათედრა

თავის ტვინის იშემიური და ჰემორაგიული ინსულტების მრავალრიცხოვან მიზეზებს შორის გარკვეული პათოგენეზური მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა პოპულაციაში გავრცელებულ ნეიროტროპულ ჰერპეს ვირუსების ჯგუფს (NHHV).

უკნასკნელ პერიოდში ავტორთა მიერ (Censch G., et al., 1989, Barnett P., 1984; Baltor H., 1986, Жданов В., 1990, Louis R., 1995, Акимов Г. и соавт. 2000) დიდი ყურადღება მიექცა ნეიროვირუსებით გამოწვეული ნერვული სისტემის დაზიანების კლინიკასა და პათოგენეზის შესწავლას. აღწერილია ნერვული სისტემის პათოლოგიის სხვადასხვა სინდრომები, მათ შორის თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა იშემიური თუ ჰემორაგიული პროცესების განვითარებით ნაკლებად შესწავლილი, მით უმეტეს, რომ ამ პათოლოგიის დიაგნოსტიკისას ვირუსის მტარებელ პაციენტებში HV პათოგენური როლი უზუღვეებელყოფილია და მეურნალობა არაეფექტურია.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 15 პაციენტი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლით. 8 ქალი და 7 მამაკაცი. ასაკი მერყეობდა 40 წლიდან 70 წლამდე. 10 შემთხვევაში დადგინდა ცერებრული ინფარქტის არსებობა, უპირატესად განვითარებული თავის ტვინის შუა არტერიის ქერქული ტოტების საირიგაციო მიდამოში, ხოლო 5 შემთხვევაში – ინტრაცერებრული ჰემატომა ქერქვეშა კვანძების დონეზე. კვლევის მეთოდებიდან გამოყენებული იყო კომპიუტერული ტომოგრაფია (კტ), ტრანსკრანიალური დოპლეროგრაფია, სისხლისა და ლიქვორის სეროლოგიური გამოკვლევა. კტ-ით დადგინდა ინსულტის პათოგენეზური ტიპი და ლოკალიზაცია (სურ.1,2).

კომპიუტერული ტომოგრაფიით კტ-ჭრილებზე ვერიფიცირდება ჰომოგენური ჰიპოდენსიური კერა, რომელიც მოიცავს რამდენიმე წილს, კონუსისებრი ფორმისაა, ვლინდება პერიფოკალური შეშუპებით და პროცესის ლოკალიზაციის შესაბამისად ხასიათდება სისხლის პენეტრაციით ლიქვორდინამიკურ სისტემაში.

ინტრაცერებრული ჰემატომა ყოველთვის დიდი მოცულობისაა, ასევე თავის ტვინის რამდენიმე წილს, უპირატესად შუბლ-თხემ-საფეთქლის. ახასიათებს “მას-ეფექტი” შუამდებარე სტრუქტურების ცდომით. კტ-ტომოგრაფიაზე ხშირად ვლინდება მრავლობითი ან ერთეული იშემიური კერების არსებობა იმავე ან მოპირდაპირე ჰემისფეროში, ასოცირებული ინტრაცერებრულ ჰემატომასთან ერთად.

ტრანსკრანიალური დოპლერით აღმოჩნდა თავის ტვინის სტენოზი და თრომბოზი 6 შემთხვევაში. ხოლო 3 შემთხვევაში – ტვინის წინა არტერიის ტოტებში უპირატესად სისხლძარღვთა ობლიტერაცია. ლიქვორის გამოკვლევით 9 პაციენტი აღმოჩნდა ჰერპეს ზოსტერის ვირუსის მტარებელი ზოსტერიალური დერმატიტის გარეშე. 6 შემთხვევაში კი დადგენილ იქნა ლოკალურ ნევროლოგიურ სიმპტომატიკასთან ერთად რეციდიული ხასიათის ზოსტერიალური დერმატიტი კისრისა და წელის სეგმენტების დონეზე. კლასიკური ნევროლოგიური კვლევის მეთოდის და ანამნეზის შეფასებით დაზუსტდა ნევროლოგიური სიმპტომების გამოვლინების ტემპი, მათი დინამიკა და ის კლინიკური თავისებურება, რომელიც ამ ეტიოლოგიით განპირობებული ცერებრული იშემიური და ჰემორაგიული პროცესებისთვის არის დამახასიათებელი. გამოყენებული იქნა აგრეთვე კვლევის დამატებითი მეთოდები შინაგანი ორგანოების პათოლოგიის დიაგნოსტიკისათვის, რომელიც ასოცირებულია ამ ტიპის ჰემორაგიულ და იშემიურ ინსულტებთან. დაავადება ხასიათდება მძიმე კლინიკური მიმდინარეობით, ხშირად სუფერბილიტეტის ფონზე. ადგილი აქვს როგორც ზოგადცერებრულ, ისე ლოკალურ ნევროლოგიურ სიმპტომების გამოვლინებას მენინგიალური სიმპტომების ფონზე. ნევროლოგიური სინდრომები უპირატესად წარმოდგენილია ქერქული და კაფსულური ჰემიპლეგიები. იშემიური ტიპით განვითარებული – 9 შემთხვევაში, 6 – შემთხვევაში კი ინტრაცერებრული ჰემატომა. საერთო რაოდენობიდან 5 შემთხვევაში აღენიშნებოდა ჰემიპლეგიურ სინდრომთან ერთად მეტყველების აფაზიური მოშლა, ხოლო 4 შემთხვევაში მენინგო-ცერებრული სისხლჩაქ-

ცევა. 3 შემთხვევაში დაავადება გამოვლინდა მწვავედ, განსხვავებით ზემოთაღწერილი შემთხვევებისაგან ეპიდემიური გულყრებით, ეპისტაქსის განვითარებით, რომელიც ძნელად დაექვემდებარა ანტიეპიდემიურ მკურნალობას.

სისტემური სისხლძარღვოვანი დაავადებები (მძიმე ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონული დაავადება) შესწავლილ ავადმყოფებს არ აღენიშნებათ, თუმცა ინსულტის განვითარების მომენტში ყველა შემთხვევაში დადგენილ იქნა არტერიული ჰიპერტენზია. ყველა შესწავლილ ავადმყოფებს აღენიშნებათ თანმხლები დაავადების (ბრონქიტი, ალვეოლიტი, მიოკარდიტი) გამოვლინებით, რაც განსაზღვრავდა დაავადების მძიმე მიმდინარეობას.

ამრიგად, HZ-ით გამოწვეული ნევროლოგიური გართულებები იშემიისა და ჰემორაგიის განვითარებით პოსტინფექციური ტიპისაა, ვლინდება გავრცობილი ანგიოციტით და არ არის დაკავშირებული პირდაპირ ვირალურ რეპლიკაციით გამოწვეულ ქსოვილოვან დაზიანებასთან.

გრანულომატოზური ანგიოციტით, თრომბოზი იშემია და სისხლჩაქცევა წარმოადგენს ჰერპეს ვირუსის ერთ-ერთ არაიშვით გართულებას. თუმცა ლიტერატურაში არღწერილია ერთეული ასეთი შემთხვევაში. როგორც, ჩანს, პერივასკულური ანთების ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს სისხლძარღვების გაფართოვება, სტაზი, პანარტერიტის და პანფლექტიის განვითარებით, კედლების ფიბროზული ნეკროზით შეშუპებით, პოლიმორფული ბირთვიანი ლეიკოციტების აქტივაციით, იშუნური კომპლექსების წარმოშობით, თრომბოციტული და ერითროციტული ფაქტორების გააქტივებით. ცხადია, რომ ამ პირობებში განვითარებული პათოლოგიური პროცესები, რომელიც ფორმირებულია ელემენტების აქტივაციით ხასიათდება ტვინის დაზიანებულ უბანში, წარმოადგენს ანთების ძირითად კომპონენტს და მიმართულია დარღვეული ჰომეოკინეზის აღსადგენად, ხოლო იშემიური და ჰემორაგიული პროცესები განიხილება როგორც მოდიფიცირებული ანთების გამოვლინება (მ. ბერიძე, 1999; ნ. ნინუა 2000).

ფეირტერმა შეისწავლა სისხლძარღვების ცვლილებები HZ-ის დროს და იგი განიხილება, როგორც Periarthritis nodoza zosterica. დადგინდა ტიპური ცვლილებები კანში, სპინალურ განგლიებში და შინაგან ორგანოებში. რა მექანიზმებით ხორციელდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ პათოგენური ტიპის ცერებრული ინსულტის ჩამოყალიბება დაუდგენელია, ხოლო გრანულომატოზური ანგიოციტით განპირობებული ანთება დადასტურებულია. ცხადია, რომ აღნიშნულ პირობებში პერფუზიული წნევის ცვალებადობა სხვადასხვა ქსოვილოვანი და უჯრედული მექანიზმების ამოქმედებას იწვევს, რომელიც საერთოა, როგორც იშემიური, ისე ჰემორაგიული პროცესების განვითარებისათვის.

მიღებული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

1. HZ-ს გარკვეული პათოგენური მნიშვნელობა ენიჭება ცერებრული დისკემიის განვითარებაში და განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი ეტიოლოგიური ფაქტორი.
2. ლიქვორის და სისხლის სპეციფიკური გამოკვლევით დგინდება ანტისხეულების გამოვლინება ვირუსის იდენტიფიკაციისათვის.
3. სისხლძარღვოვანი პროცესები განვითარებას საფუძვლად უდევს დიფუზური ანგიოციტის არსებობა, რაც დაკავშირებულია ვირუსის აქტივაციასთან, რის გამოც ცერებრული და შინაგანი ორგანოების კომბინირებული დაზიანება ერთიანი პათოგენური მექანიზმებით აიხსნება.
4. HZ-ით გამოწვეული ცერებრული დისკემიის დროული დიაგნოსტიკა პათოგენური მკურნალობის საწინდარია, რომელიც უნდა ჩატარდეს არა მარტო კორტიკოსტეროიდების, არამედ კორტიკოსტეროიდების და ანტივირუსული პრეპარატების კომბინირებული გამოყენებით.
5. HZ-ის მტარებელ პაციენტებში ზოსტერული დერმატოზის გამოვლინებით ან მის გარეშე ნევროლოგიური გართულების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ჩატარდეს პროფილაქტიკური ანტივირუსული თერაპია.

The Clinical Characteristics and Pathogenesis of Cerebral Dischaemia Caused by Herpes Zoster Virus

M. Gordeziani, N. Ninua, R. Sigua
TSMU, Department of Neural Diseases

Cerebrovascular disorders are problematic due to therapy, as they are caused by different reasons, not only by atherosclerosis or hypertension, but by herpes viruses.

The purpose of our work was to study patients with cerebral discirculation and reveal such rare reasons of cerebral dischaemia and find CT-correlates. The investigation had been performed on 12 patients with cerebral dischaemia at the age from 40 to 70, without any history of chronic vascular disease. All patients underwent routine neurologic and Para clinic investigations including ECG, CT, US-sonography, CSF investigation on virus was on all patients. All patients had problems of somatic organs (bronchities, allveolities, myocardities).

In such cases of cerebral dischaemia CT-investigation released both types of dischaemia: ischemic infarction (10 cases) or intracerebral haematoma (5 cases). The pathological process was extended in size and doesnt correlate with the territory of irrigation in cases of ischemic infarction, intracerebral heamatomas were massive.

The identification of virus in blood and CSF revealed the presence of Herpes Zoster virus, antibiotics, which were clinically confirmed by herpetic rash on different areas of the body (9 cases). 6 patients has no hepatic rash.

Its clear that in such cases of cerebral dischaemia Herpes-Zoster virus plays the main important role in pathogenesis as it causes the granulomatose angiitis.

In conclusion such cases of cerebral dischaemia can't be treated only by corticosteroids, but with combination of antiviruses.

ლიტერატურა:

1. მ. ბერიძე – იმუნური სისტემის მახვენებლების ცვალებადობა თავის ტვინის მწვავე სისხლძარღვოვანი პათოლოგიის დროს და მათი პლაფერონ ლბ-თი კორექციის მექანიზმები. ავტორეფერატი მედ. მეცნ. კანდ. 1999წ. თბილისი.
2. Дифференциальная диагностика нервных болезней. под ред. Г.А.Акимова и М.М.Одилака. Санкт-Петербург. 2000.
3. В.М.Жданов Эволюция вирусов. М.19906 371.
4. Е.М.Лешенская., И.Н.Мартыненко – Острые вирусные энцефалиеы у детей. М.19906 251.
5. Andiman W.A White-Greenwald H., Tingllytell T. Zoster encephalitis: isolation of virus measurement of Varicella-Zoster-Specific antibodies in cerebrospinal fluid/Amer. J.Med.-1982. V.73. N5; P 769-772.
6. Baltor H.H Acyclovir therapy for herpes Zoster: advantages and adverse effects./J.M.A-1986, V 255, N3,P. 387-388.
7. Barnett P Use of acyclovir for CMV/ S. Afr. Med. 6. 1984. V.66, N17, P. 635-637.
8. Genseh G., Greenberg S.B., Taber L., et al. Herpes Zoster – Associated Encephalitis: Clinico-pathologic correlation: a review of the literature / Medicine (Baltimore) 1983, V.62, N2, P 81-94/
9. Lousi R. Caplan (Ed) Brain ischemia. Baser concepts and clinikal relevance Springer-Verlag. 1995.P9.

ფილტვისმიერი გული და პულმონური ჰიპერტენზიის გავრცელების სისშირე რესპირაციული ტრაქტის პათოლოგიით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფებში

გ. ქავთარაძე, მ. გეგენავა, თ. გეგენავა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, შინაგანი მედიცინის №1 დეპარტამენტი, მიმართულება სინდრომული დიაგნოსტიკა

ფილტვისმიერი გული ეწოდება ფილტვების სისხლძარღვოვან სისტემაში წინააღმდეგობის მომატებისა და მცირე წრის ჰიპერტენზიის შედეგად გულის მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიასა და (ან) დილატაციას.

პულმონარული ჰიპერტენზია ვითარდება პულმონარულ არტერიაში საშუალო წნევის მომატებას 20 მმ.ვცხ. წყ. სვ-ზე მეტად მოსვენების მდგომარეობაში და 30 მმ.ვცხ. წყ. სვ-ზე მეტად დატვირთვისას. პულმონარული ჰიპერტენზია კლინიკურად არ გამოვლინდება მანამ, სანამ არ განვითარდება მარჯვენა პარკუჭის დისფუნქცია.

პულმონარული ჰიპერტენზია (PAH) მოიცავს იდიოპათიური პულმონურ ჰიპერტენზიას და პულმონურ ჰიპერტენზიას დაკავშირებულს სხვადასხვა მდგომარეობებთან, როგორც არის: ბრონქო-პულმონარული, თორაკო-დიაფრაგმული, გულ-სისხლძარღვთა, შემაერთებელქსოვილოვანი დაავადებები, თანდაყოლილი სისტემურ-პულმონური შუნტები, პორტული ჰიპერტენზია და ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი. ყველა ეს მდგომარეობა იზიარებს ობსტრუქციულ პათოლოგიურ ცვლილებებს პულმონურ მიკროცირკულაციაში.

ბრონქო-პულმონარული დაავადებებიდან ფილტვისმიერი გულის განვითარების უხშირესი მიზეზებია: ქრონიკული ბრონქიტი, ბრონქული ასთმა, ტუბერკულოზი, პნევმონია, პნევმოკონიოზი, ემფიზემა, ბრონქოექტაზია, ფილტვების პოლიკისტოზი, სარკოიდოზი, ქრონიკული ღიფუზური ინტერსტიციული ფიბროზი და ა.შ.

პათოგენეზი: ფილტვისმიერი გულის განვითარების ძირითადი პათოგენეზური ფაქტორებია ფილტვის არტერიის სისტემაში წნევის მომატება და ჰიპოქსემია. ეს ფაქტორები შესაძლოა იყოს ფუნქციური და ორგანული წარმოშობის.

პულმონურ არტერიაში წნევის გაზრდა დაკავშირებულია სხვადასხვა მექანიზმებთან: ვაზოკონსტრიქცია, პულმონური სისხლძარღვის კედლის ობსტრუქციული რემოდელირება, ანთება და თრომბოზი.

პულმონური ვაზოკონსტრიქცია არის ადრეული კომპონენტი პულმონური ჰიპერტენზიის განვითარებაში. ძლიერი ვაზოკონსტრიქცია დაკავშირებულია კალიუმის არხების ფუნქციის დარღვევასთან და ენდოთელიარულ დისფუნქციასთან. პლაზმაში შემცირებულია ვაზოდilatატორები და ანტიპროლიფერაციული სუბსტანციის შემცველობა, როგორც არის ვაზოაქტიური ინტესტინული პეპტიდი.

ენდოთელიარული დისფუნქცია განაპირობებს ვაზოდilatატორების პროდუქციის ქრონიკულ დაქვეითებას, როგორც არის აზოტის ოქსიდი და პროსტაციკლინი, და ამავე დროს, ჭარბ სეკრეციას ვაზოკონსტრიქტორების: თრომბოქსან A2-ის და ენდოთელინ-1-ის.

ანთებითმა უჯრედებმა ასევე შეიძლება შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი პულმონურ არტერიულ ჰიპერტენზიის განვითარებაში. PAH-ის შემთხვევაში პრო-ანთებითი ციტოკინები იმატებენ პლაზმაში. იცვლება სეროტონინის მეტაბოლიზმის გზები და პულმონური ვაზოკონსტრიქტორული სუბსტანცია დაგროვილი თრომბოციტებში.

კოაგულაციური ცვლილებები ასევე თვალსაჩინოა PAH-ისას. თრომბები არიან, როგორც მიკროცირკულაციაში, ისე ელასტიურ პულმონურ არტერიებში. ფაქტიურად, ფიბრინოლექტინ-A-ს დონე, რომელიც გაველნას ახდენს თრომბინის აქტივობაზე და თრომბოქსან A2-ის დონე, მომატებულია PAH-სას.

არსებობს მონაცემები პულმონარული ჰიპერტენზიის განვითარებაში გენეტიკური ფაქტორების მონაწილეობის შესახებ. გამოვლენილია მუტაცია BMPR2 გენში, რითაც შესაძლოა აიხსნას პულმონარული ჰიპერტენზიის ოჯახური შემთხვევების უმრავლესობა.

კვლევის მიზანი: ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ფილტვისმიერი გულის და პულმონარული ჰიპერტენზიის გავრცელების მაჩვენებლის განსაზღვრა რესპირაციული ტრაქტის პათოლოგიის დროს.

კვლევის მასალა და მეთოდები: კვლევა ტარდებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის №1 დეპარტამენტში (მიმართულება სინდრომული დიაგნოსტიკა), ავადმყოფობის ისტორიის ანალიზის საფუძველზე.

კვლევაში მონაწილეობდა 100 პაციენტი. მათ შორის 20 ქალი და 80 კაცი. გამოიყო ორი ჯგუფი: პირველი, რომელშიც გაერთიანდნენ ორივე სქესის წარმომადგენლები, სხვადასხვა სახის პულმონარული პათოლოგიით და მეორე ჯგუფი სადაც წარმოდგენილი იყვნენ პირები, რომელთაც აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის დაავადება (კარდიოვასკულური, გასტროინტესტინული და სხვა).

I-ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ პაციენტები, რომელთაც აღენიშნათ ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება $n=52$ და პაციენტები რომელთაც აღენიშნათ ქრონიკული პნევმონია $n=50$. II ჯგუფში როგორც ზემოთ აღინიშნა წარმოდგენილი იყვნენ პაციენტები, რომელთაც აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის პათოლოგია $n=50$.

კვლევის მეთოდები: ფილტვის არტერიაში წნევის განსაზღვრა ხდებოდა ორგანოზომილებიანი (2D) ტრანსთორაკალური (TTE) ექოკარდიოგრაფიის საშუალებით, დოპლერული გამოკვლევის თანხლებით.

პულმონარული ჰიპერტენზიის განსაზღვრისათვის ასევე გამოვიყენეთ ელექტროკარდიოგრაფიულ კვლევა და გულმკერდის რენტგენოგრაფია. ასევე ისაზღვრებოდა ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის პარციალური წნევა PaO_2 , $PaCO_2$.

მიღებული შედეგები და მათი ანალიზი: მიღებული შედეგების ანალიზით გაირკვა, რომ პულმონარული ჰიპერტენზია და გამოხატული ფილტვისმიერი გულის კლინიკური ნიშნები მნიშვნელოვნადაა გავრცელებული პნევმონიისა და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მქონე პაციენტებში, განსაკუთრებით ხანგრძლივი ანამნეზური მონაცემების არსებობის პირობებში (5-15 წელი) (ცხ-1). რაც შეეხება მეორე ჯგუფის პაციენტებს, პულმონარული ჰიპერტენზია აღენიშნა კარდიოვასკულური დაავადების ჯგუფში შემავალ პაციენტთა გარკვეულ ნაწილს და ასოცირდებოდა გულის უკმარისობის ნიშნების არსებობასთან.

გამოხატული-მაღალი ხარისხის პულმონარული ჰიპერტენზია ($PH=31-40$ ან $PH>40$ mm.Hg) განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით გამოვლინდა პნევმონიის ქრონიკული ფორმის $n=29$ (58 %) და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების არსებობის შემთხვევაში $n=32$ (61,5%), პაციენტთა ამ ნაწილში გამოხატული იყო ფილტვისმიერი გულის კლინიკური ნიშნები, რაც გულისხმობდა სუნთქვითი უკმარისობის ნიშნების არსებობას: ქოშინი, ციანოზი, კისრის ვენების დაბერვა, ღვიძლის გადიდება, შეშუპება, ასციტი, ჰიდროთორაქსი. ამავე პაციენტებს ჩაუტარდათ არტერიული აირების გამოკვლევა PaO_2 , $PaCO_2$. გაირკვა, რომ O_2 -ის დაქვეითებული და CO_2 -ის გაზრდილი მაჩვენებლები კორელაციურ დამოკიდებულებაში იყო პულმონარული ჰიპერტენზიის მაჩვენებელთან და ფილტვისმიერი გულის კლინიკურ ნიშნებთან.

ტრანსთორაკალური ექოკარდიოგრაფიული კვლევით ტრიკუსპიდური რეგურგიტაცია, მარჯვენა წინაგულისა და პარკუჭის დილატაცია აღენიშნა ყველა იმ პაციენტს სადაც გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარისხის პულმონარული ჰიპერტენზია (სურ.1). ელექტროკარდიოგრაფიულად „პულმონური“ P კბილები II, III, aVF განხრებში, პისის კონის მარჯვენა ფეხის ნაწილობრივი ან სრული ბლოკადა გამოიხატა იმ პაციენტთა უმრავლესობაში სადაც გამოვლინდა მკვეთრი და გამოსატული პულმონარული ჰიპერტენზია.


რაც შეეხება II ჯგუფის პაციენტებს პულმონარული ჰიპერტენზია აღინიშნა პაციენტთა 8-9%-ში, მათ უმრავლესობაში არ იყო გამოსატული ფილტვისმიერი გულის ნიშნები და პულმონარული ჰიპერტენზია ძირითადად უკავშირდებოდა კარდიულ პათოლოგიას.

მიღებული შედეგების ანალიზით გაირკვა, რომ პულმონარული ჰიპერტენზია და ფილტვისმიერი გულის კლინიკური ნიშნები საკმაოდ მაღალი ხარისხითაა გამოსატული იმ პირებში, სადაც აღინიშნება რესპირაციული ტრაქტის პათოლოგია. იგი უხშირესად ასოცირდება იმ მდგომარეობებთან, რომლებიც იწვევს ფილტვების სასუნთქი ზედაპირის მნიშვნელოვან შემცირებას და წინააღმდეგობის გაზრდას პულმონარულ არტერიაში. თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პულმონარული ჰიპერტენზია იწვევს მარჯვენა პარკუჭის დისფუნქციას და საბოლოოდ ფილტვისმიერი გულის (Cor pulmonale) ფორმირებას, მნიშვნელოვანი ხდება ფილტვის არტერიაში წნევის მაჩვენებლის განსაზღვრა დაავადების გამოვლენის ადრეულ სტადიაშივე და შესაძლო გართულებების თავიდან არიდება.

ცხრილი №1: პულმონარული ჰიპერტენზიის გავრცელება რესპირაციული ტრაქტის დაავადების დროს

დაავადებები	პნევმონია	ფილტვების ქრ. ობსტ. დაავადება	სხვა დაავადებები	საკონტროლო ჯგუფი
პნევმონია		P=0.424	P=0.714	P<0.001
ფქოდ	P=0.424		P=0.751	P=0.001
სხვა დაავადებები	P=0.714	P=0.751		P=0.001

სურათი-1: ექოკარდიოგრაფიული მონაცემები პულმონარული ჰიპერტენზიის და გულის მარჯვენა ღრუების დილატაციის შემთხვევაში



Frequency of Cor Pulmonale and Pulmonary Arterial Hypertension in Patients with Respiratory Tract Disease

G. Kavtaradze, M. Gegenava, T. Gegenava

Tbilisi State Medical University,

Department of internal Medicine №1 (Syndrome Diagnostics)

Cor Pulmonale is defined as a group of diseases characterized by a progressive increase of pulmonary vascular resistance, pulmonary hypertension leading to right ventricular failure and premature death.

Aim of our study was to determine frequency of PAH and Cor Pulmonale in patients with respiratory tract disease (Chronic Pnevmonia, Chronic Obstructive Pulmonary Disease-COPD)

Materials and Methods: Research has taken place in Tbilisi State Medical University Internal Medicine №1 department basis of retrograde analysis of case histories. 100 patients took part in the research.. They were divided in two groups according to the main disease: I group-includes patients with pulmonary disease (COPD – n=52. 2. Acute pneumonia – n=50). II group –includes patients with other disease (Cardiovascular disease, Connective tissue diseases or Gastroenterological pathology – n=50)

Determination of PAP was possible by 2D Transthoracic Doppler-echocardiography. Also was used chest radiograph and ECG.

Received results and their analysis: according to our study PAH is widely extended in IM. There was a high frequency of PAH in patients with acute pneumonia and COPD. The moderate and high level of PAH and signs of Cor Pulmonale was manifested in patients with pneumonia n=29 (58 %) and in COPD n=32 (61,5%), low level of PAH was found in patients with other disease.

By transthoracic echocardiography TR, RA and RV dilatation was observed in every patient with important degree of PH.

By ECG signs of RV and RA hypertrophy were expressed in great majority of patients with high degree of PH.

The results has indicated, that PAH and Cor Pulmonale is widely extended in practice of internal medicine and mostly it's associated with conditions, such as respiratory tract disease. The problem is really actual and it needs particular attention. Early diagnostic and treatment give the possibility to control disease and avoid complications.

ლიტერატურა:

1. Bauduin SV: Oedema and cor pulmonale revisited. Thorax1997, 52:401-402.
2. Behrsin RF, da Silva Junior CT, Gabetto JM, Lima Ode A. Lung volume reduction surgery (LVRS): criteria for selecting patient in Antonio Pedro Hospital, Federal Fluminense University, Niter i city, Rio de Janeiro, Brazil / Rev Assoc Med Bras. 2003 Jul-Sep;49(3):274-7. Epub 2003 Nov 5. Portuguese.
3. Felizardo M, Aguiar M, Mendes A, Moniz D, Sotto-Mayor R, Almeida A Collagen vascular diseases and lung: Characterization of the outpatients with interstitial lung disease./.Rev Port Pneumol. 2005 Nov;11(6 Suppl 1):26-7. Portuguese.
4. Heath D, Williams DR: Pulmonary hypertension. In High-Altitude Medicine and Pathology. London: Butterworths, 1989:102-114.
5. Lejeune P, Mols P, Naeije R, Hallemans R, Mélot C: Acute hemodynamic
6. MacNee W: Pathophysiology of cor pulmonale in chronic obstructiv pulmonary disease. Am J Respir Crit Care Med1994, 150:833-852 and 1158-1168.
7. Román JS, Hernández FJ, Palma MJ, Medina CO /Diagnosis and treatment of pulmonary hypertension/.Rev Clin Esp. 2008 Mar;208(3):142-55. Review. Spanish
8. 10 Timms RM, Khaja FU, Williams GW, and the Nocturnal Oxygen Therapy Trial Group: Hemodynamic response to oxygen therapy in chronic obstructive pulmonary disease. Ann Intern Med 1985, 102:29-36.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის დროს ბავშვებში

*მ. შვანგირაძე, ქ. მათიაშვილი, რ. წიგწივაძე
თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა*

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანებათა კვლევა სხვადასხვა პათოლოგიების დროს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. კარდიო-ვასკულარულ სისტემაში არსებული ცვლილებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მძიმე დაზიანებათა პრევენციაში. მოზარდთა ასაკის არაინფექციურ დაავადებათა შორის, ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონია, ყველაზე ხშირ პათოლოგიას წარმოადგენს [4,3,5,9].

ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონია მულტიფაქტორული დაავადებაა. მის განვითარებას ხელს უწყობს გენეტიკური და შეძენილი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ტონუსის ნეიროჰუმორული და ენდოკრინული რეგულაციის დარღვევას, რაც სტრესული სიტუაციების დროს მრავალფეროვანი კლინიკური სიმპტომებითა და სინდრომებით ვლინდება [10,12,14]. დაავადების განვითარებაში წამყვანი მნიშვნელობა ეგეტაციური ნერვული სისტემის ფორმირების მექანიზმულ თავისებურებებს ენიჭება. შეძენილი ფაქტორები კი ასრულებენ გამწვავებ მუქანიზმის როლს, რომლებიც ფარულად მიმდინარე ნეიროვეგეტაციური დისფუნქციის მანიფესტაციას უწყობენ ხელს [1,16]. მექანიზმული წინასწარგანწყობა ბავშვებს უფრო ხშირად დედის, შედარებით იშვიათად მამის მხრიდან გადაეცემათ და 34-81% შემთხვევაში ვლინდება [17,19,20,22]. ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის ეტიოლოგია და პათოგენეზი ყველაზე სრულყოფილად ახსნილია ფაზოტონური ნეიროდინამიკური ვეგეტაციური რეგულირების თეორიით [6,7]. რომლის თანახმად, ადამიანის ორგანიზმში ნეიროვეგეტაციური სტატუსი უზრუნველყოფილია ვეგეტაციური ნერვული სისტემის პარასიმპატიკური და სიმპატიკური ნაწილების ერთობლივი ფუნქციონირებით. ამასთან პარასიმპატიკური ნაწილი უზრუნველყოფს გენეტიკური აპარატის აქტივაციას, რნმ-ის სინთეზის სტიმულაციას და ცილის სინთეზის გაზრდას, მიტოზისა და ანაბოლური პროცესების აქტივაციას, ამცირებს იმუნური პასუხის ინტენსივობას. სიმპატიკური ნაწილი მოქმედებს დიამეტრულად საწინააღმდეგოდ. მათ შორის ბალანსის დარღვევა განაპირობებს დისადაპტაციური დაავადებების განვითარებას [15,18,21]. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ბავშვებში ამ დაავადების არსებული ტიპების მოდიფიცირება ეტიოლოგიური და პათოგენეზური ფაქტორების გამოყოფით. დაავადების ადრეულ ეტაპზე ყურადღებას იპყრობს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანება, რომელიც ართულებს დაავადების პროგნოზს.

ჩვენი შრომის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის დროს ბავშვებში და მოგვეხდინა პათოგენეზური მკურნალობის კორეგირება.

მასალა და მეთოდები: დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის მქონე პრეპუბერტალური და პუბერტალური ასაკის 75 ბავშვი, რომელმაც მომართა თსსუ პედიატრიული კლინიკას. დიაგნოზი დაისვა ანამნეზური, კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემებისა და გამოვლენილი ფუნქციური დარღვევების საფუძველზე. ავადმყოფთა განაწილება სქესის, ასაკის და კლინიკური დიაგნოზის მიხედვით მოცემულია ცხრილში №1.

ყველა ავადმყოფს ჩაუტერდა კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევა, რომელიც მოიცავდა ელექტროკარდიოგრაფიას, ფონოკარდიოგრაფიას, ექოკარდიოგრაფიას.

საკონტროლო ჯგუფი წარმოდგენილი იყო იმავე ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელი 20 ბავშვით.

ჯგუფებს შორის განსხვავების შეფასებას ვახდენდით რაოდანობრივი მაჩვენებლებისათვის სტიუდენტის კოეფიციენტით ($t > 1,96$; $p < 0,05$). მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 11-5-ის გამოყენებით.

ცხრილი №1 ავადმყოფთა განაწილება სქესის, ასაკის და კლინიკური დიაგნოზის მიხედვით

№	ნიშნები	კარდიალური ტიპი n=30	ჰიპოტონიური ტიპი n=18	ჰიპერტონიური ტიპი n=27	S სულ n=75
1	გოგონები/ვაჟები	18/12	11/7	15/12/15	
2	საშუალო ასაკი	13,5±0,4	12,7±0,5	13,9±0,3	13,6±0,5
3	ფაზა: გამწვავება კლინიკო-ლაბორატ. რემისია	25(83%) 5(17%)	13(72%) 5(28%)	23(85%) 4(15%)	61(81%) 14(19%)
4	მიმდინარეობა: მსუბუქი საშუალო სიმძიმის მძიმე	12(40%) 11(37%) 7(23%)	7(39%) 6(34%) 5(27%)	11(41%) 10(37%) 6(22%)	30(40%) 27(36%) 18(24%)
5	სისხლძარღვოვანი რეაქტიულობა: სიმპატიკოტონური ასიმპატიკოტონური ჰიპერსიმპატიკოტონური	13(43%) 10(33%) 7(24%)	6(34%) 8(45%) 4(21%)	7(36%) 8(30%) 12(44%)	26(35%) 26(35%) 23(30%)

გამოკვლევის შედეგები: გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ბავშვებში ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის კლინიკური სურათი ხასიათდებოდა მთელი რიგი თავისებურებებით, მოზრდილებთან შედარებით. ბავშვებში დაავადების მანიფესტაცია უფრო ხშირად დაკავშირებული იყო ფსიქო-ემოციურ გადაძაბვასთან: 68%-ში გამოწვეული იყო კონფლიქტით სკოლაში, 46%-ში ოჯახური კონფლიქტით, 34%-ს აღენიშნებოდა ფიზიკური და 42%-ს გონებრივი გადატვირთვა, გარდა ამ ფაქტორებისა, შეიძლება გამოვეყნოთ ცხოვრების სწრაფი და დატვირთული რეჟიმი, ძლიერი შიში და ხანგრძლივი ორთოსტაზი. პაციენტთა 35%-ს აღენიშნებოდა ქრონიკული დეკომპენსირებული ტონზილიტი, 20%-ს დაავადება განუვითარდა მწვავე ვირუსული ინფექციის გადატანის შემდეგ, 5%-ს წინ უძღოდა ძლიერი კვებითი ალერგია, 6%-ს დაუდგინდა ჭიებით ინვაზია. პუბერტატული ასაკის ბავშვებში დაავადება იწყებოდა მწვავედ, ზოგადი სიმპტომა-ტიკით: საერთო სისუსტე, ადვილად დაღლა, ტემპერატურის არამოტივირებული მატება 37,5 გრადუსამდე, უმადობა, გაღიზიანებადობა, დაფანტულობა. ყველა ბავშვს მიუხედავად ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის კლინიკური ვარიანტისა გამოუვლინდა ზოგადი დეზადაპტაციური სინდრომი ადვილად დაღლით, ფიზიკური აქტივობის დაქვეითებით, მეტეოფაქტორების ცვლილებისადმი აწეული მგრძნობელობით, დაქვეითებული შრომისუნარიანობით, განსაკუთრებით დღის მეორე ნახევარში, მესხიერების დაქვეითებით.

ვეგეტოსისხლძარღვოვანი ანუ ნეიროცირკულაციური დისტონიის **ჰიპოტონიური** ტიპის მქონე ბავშვებს აღენიშნებოდათ ვაგონისულარული პაროქსიზმები, რომელსაც 18,4% შემთხვევაში თან ახლდა გულის წასვლა ემოციური გადაძაბვის, შიშისა და ხანგრძლივი ორთოსტაზის ფონზე. 78% შემთხვევაში აღენიშნებოდათ ცუდი ძილი, განმასხვავებელი ნიშანი იყო ბრადიკარდია, ხელისა და ფეხის თითების, ცხვირის წვეროს სიცივე, სიფერმკრთაღე, მარმარილოსებური კანი ხელისგულებზე, თეთრი და წითელი ლაქებით.

ხშირად 86% შემთხვევაში განსაკუთრებით დილის საათებში ბავშვები უჩიოდნენ თავბრუსხვევას და მფეთქავი ხასიათის თავის ტკივილს საფეთქელისა და თხემის არეში, უფრო იშვიათად კეფის არეში. იშვიათად 22%-ში მათ აღენიშნებოდათ თავის არეში სიმძიმის შეგრძნება და მხედველობის გარდამავალი დაქვეითება. ბავშვებს ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის **ჰიპერტონული ტიპის** დროს აღენიშნებოდათ ზომიერი, მოჭერითი ხასიათის თავის ტკივილი კეფის არეში, რომელიც უნვითარდებოდათ ფიზიკური და ფსიქოემოციური დატვირთვის შემდეგ. ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის **კარდია-**

ღურო ტიპის მქონე ბავშვებში ძირითადი კლინიკური ნიშანი იყო სხვადასხვა ხასიათის და ხანგრძლივობის ტკივილი გულის არეში, რომლის მაპროვოცირებელი ფაქტორი 92% შემთხვევაში ნერვულ-ფსიქიკური და ფიზიკური გადაძაბვა იყო. ავადმყოფთა 34%-ს აღენიშნებოდა მძიმე კარდიალგიები, ინტენსიური 25წთ და მეტი ხანგრძლივობის გულის ტკივილი, რომელსაც თან ახლდა კანის საფარველის სიფერმკრთალე, ტაქიკარდია და შიშის შეგრძნება. უმეტეს შემთხვევაში (78%) კარდიალგიები იყო მსუბუქი – არაინტენსიური, 20 წუთზე ნაკლები ხანგრძლივობის, რომელიც დამოუკიდებლად გადიოდა. ჩატარებული კლინიკურ-ინსტრუმენტული გამოკვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონიის ჰიპერტონული ტიპის მქონე პაციენტებში აღინიშნებოდა ტაქიკარდია, აუსკულტაციით გულის ტონების მოყრუება, სისტოლური შუილი მწვერვალზე და მე-5 წერტილზე. ეკგ-ზე რეგისტრირდებოდა P და T კბილის ცვლილება, ST სეგმენტის ცდომა იზოელექტრული ხაზის ზემოთ. ფონოკარდიო-გრამაზე აღინიშნებოდა გულის ტონების ამპლიტუდის დაქვეითება, დაბალამპლიტუდიანი სისტოლური შუილი. **ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონიის** კარდიალური ტიპის მქონე ბავშვებში, ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევისას გამოვლინდა გულის დაზიანების ნიშნები სხვადასხვა სისხშირით. ენდოკარდიტის ნიშნები- სარქველების შეშუპებისა და შესქელების სახით, ექოსიგნალის გაძლიერება აღენიშნებოდა მათგან 17 ბავშვს. მიოკარდიუმისათვის დამახასიათებელი ცვლილება იყო მისი აკუსტიკური სიმკრივის მომატება. კარდიალური ტიპით დაავადებულ 9 ბავშვს, მძიმე კარდიალგიების ფონზე აღენიშნებოდა მიოკარდიუმის დაზიანება გულის კუნთის შესქელებით, რომელიც ექოკარდიოგრაფიულ სურათზე მის შესუპებას მოგვაგონებდა. მიოკარდის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლამ გამოავლინა, რომ პირველ რიგში ზიანდება მისი რელაქსაციური ფუნქცია, განსაკუთრებით ხანგრძლივდებოდა სწრაფი ავსების ფაზა $0,088 \pm 0,0032$ წმ-დე ($N=0,06 \pm 0,014$ წმ; $p < 0,05$).

დასკვნა:

1. მკვეთრად გამოხატული ცვლილებები გულის მხრივ აღენიშნებოდათ **ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონიის** კარდიალური ტიპის მქონე პაციენტებს. ამავე დროს პათოლოგიური პროცესის მაღალი აქტივობისას, გულის დაზიანების ლატენტური პერიოდი მცირდებოდა.
2. ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონია წარმოადგენს პრე და პუბერტატული პერიოდის ხშირ პათოლოგიას, რომელიც გულ-სისხლძარღვო სისტემის მრავალი ორგანული დაავადების პრედიქტორს წარმოადგენს, რასაც უკვე მოზრდილ ასაკში მიყვავართ ნაადრევ ინვალდიზაციამდე და ზოგჯერ ლეტალობამდე.

Condition of Clinical and Cardiovascular System during the Neurocirculatory Dystonia in Children

*M Shvangiradze, K. Matiasvili, R. Tsivtsivadze
Pediatric Clinic of Tbilisi State Medical University*

The purpose of our research was to study the changes of cardiovascular system in children with Neurocirculatory Dystonia, as well as understand the distinctions of clinical manifestations of the disease.

Source and methods: In the study were in rolled 75 children with Neurocirculatory Dystonia of pre-pubertal and pubertal age. They were examined thoroughly by the clinical-laboratory examination, which included electrocardiography, phonocardiography and echocardiography.

According to analysis, in case of cardiac form of Neurocirculatory Dystonia, Electrocardiography showed the signs of diffusive myocardium damage, the prolongation of the ventricular systole, cardiac arrhythmia. Echocardiography showed the existence of echo active focuses, the ST segment deviation was revealed above the isoelectric line, T wave shortening was also shown and an electric axis was moved to the right.

ლიტერატურა:

1. Белоконов Н.А., Кубергер М.Б. Болезни сердца и сосудов у детей. М 1987; 2: 136-197.

2. Александров А.А. Профилактика сердечно-сосудистых заболеваний с детства: подходы, успехи, трудности. Кардиология 1995; 7: 4-8.
3. Острополец С.С. Фитотерапия вегетососудистой дистонии у детей. МРЖ, Педиатрия 1988; 4: 57.
4. Маколкин В.И., Аббакумов С.А., Сапожникова А.А. Нейроциркуляторная дистония. Чебоксары 1995; 250.
5. Трошин В.Г., Жигулин Н.И. Сосудистые заболевания мозга и кардиальные дисфункции. Иркутск 1991.
6. Кардиология детского возраста (методическое пособие). Под ред. А.Ф. Виноградова. Тверь 1995; 266.
7. Вейн А.М., Вознесенская Т.Г., Голубев В.Л. и др. Заболевания вегетативной нервной системы. М 1991; 622.
8. Меерсон Ф.З., Халфен Э.Ш., Лями Н.П. Влияние стрессорной и физических нагрузок на ритмическую деятельность сердца и состояние адренергической регуляции у больных нейроциркуляторной дистонией. Кардиология 1990; 5: 52-56.
9. Cinciripini P.M. Cognitive stress and cardiovascular reactivity. Am Heart J 1986; 112: 5: 1051-1065.
10. Julius S., Weder A., Hinderliter A. et al. Handbook of Stress, Reactivity and Cardiovascular Disease. New York 1985; 41-81.
11. Nastrup J.L. et al. Cardiovascular Responsivity to Stress. Family Patterns and the Effects of Instructions. J psychosom Res 1986; 30: 2: 233-241.
12. Ibsen K. Statistical Analysis of Factors Influencing Blood Pressure in Children and Adolescents. Acta med Scand 1985; 693: 41-46.
13. Покалев Г.М. Нейроциркуляторная дистония. Нижний Новгород 1994; 300.
14. Вейн А.М., Колосова О.А., Яковлев Н.А. Неврозы (клинико-патогенетические аспекты, диагностика, лечение и профилактика). М 1995; 231.
15. Кухтевич И.И. Церебральная ангиодистония в практике невропатолога и терапевта. М 1994; 160;
16. Скупченко В.В., Милюдин Е.С. Фазотонный гомеостаз и врачевание. Самара, СГМУ 1994; 256.
17. Игишева Л.Н., Ботин С.В., Галеев А.Р. Особенности регуляции сердечного ритма у подростков с повышенным артериальным давлением. Педиатрия 1995; 6: 17-21.
18. Курочкин А.А. Варианты альфа-адренорецепторной реактивности периферических сосудов у детей с нейроциркуляторной дистонией и их дифференциальная коррекция: Автореф. дис. ... канд. мед. наук. М 1993;
19. Schatz I. Orthostatic Hypotension. II. Clinical Diagnosis, Testing and Treatment. Arch intern med 1984; 144: 5: 1037-1044.
20. Кушнир С.М. Нейроциркуляторная дистония кардиального типа у детей пубертатного периода: Автореф. дис. канд. мед. наук. Тверь 1994; 16.
21. Леонтьева И.В., Царегородцева Л.В. Кардиалгии. В кн.: Кардиология детского возраста. Тверь 1995; 45-52.
22. Аббакумов С.А. Нейроциркуляторная дистония (лекция). Врач 1997; 2: 6-8.

Изменкинетического компонентов механической работы сердца в условиях относительного физиологического покоя

Г. Элиава, М. Гугешашиვი, Н. Бегишвили, Л. Берулава, Н. Шарашенидзе
Грузинский университет управления качеством,
Тбилисский государственный медицинский университет

Одной из важнейших задач, стоящих перед здравоохранением является проведение профилактических мероприятий, направленных на охрану здоровья населения. В комплекс этих мероприятий входит своевременное распознавание и соответствующая оценка риск-факторов, провоцирующих развитие заболевания. Верхние дыхательные пути в силу своей топографии и функциональному значению, являясь "входными воротами" организма, одним из первых испытывают влияние экзогенных факторов и в значительной мере определяют их воздействие на функциональное состояние организма [1,2,4,5].

Целью работы было исследование динамики статического и кинетического компонентов механической работы сердца при разных типах дыхания, в условиях относительного физиологического покоя.

Материал и методы: Исследование проводили на здоровых лицах в возрасте 19-20 лет в условиях относительного физиологического покоя. Для определения ударного объема сердца и длительности периода изгнания крови из левого желудочка применяли метод тетраполярной грудной реографии по Кубичеку (Kubicek W., 1967). Испытуемые осуществляли носовое и ротовое дыхание. При ротовом дыхании носовое дыхание включали применением носового зажима. Исследование проводилось в условиях относительного физиологического покоя. Артериальное давление измеряли по Н.С. Короткову.

Скорость сердечного выброса из левого желудочка определяли по формуле

$$CCB = \frac{Q_s}{E}$$

где CCB - скорость систолического выброса крови из левого желудочка (мл/с); Q_s - ударный объем крови (мл); E - длительность периода изгнания крови из левого желудочка (с).

Статический компонент механической работы рассчитывали по формуле $A_1 = PQ_s$, где A_1 - статический компонент работы; P - среднее артериальное давление (мм. рт.ст); Q_s - ударный объем сердца (мл).

Кинетический компонент работы сердца [4] рассчитывали из следующего уравнения:

$$E = \frac{1,06Q_s}{2S_\alpha^2 E}$$

где Q_s - ударный объем сердца; S_α - поперечное сечение аорты (см²); E - длительность периода изгнания из левого желудочка (с).

Результаты и их обсуждение: Исследование показало, что статический компонент механической работы сердца при ротовом дыхании усиливается в среднем на 21,8% (рис. 1А). Среднединамическое давление в среднем снижается на 5% (рис. 1Б). Кинетическая энергия сердечного выброса по сравнению с величиной при носовом дыхании увеличена в среднем на 12%. (Рис. 2А). Скорость сердечного выброса увеличена в среднем на 4,6% (рис. 2Б). Усиление кинетического компонента механической работы, совершаемой левым желудочком сердца, способствует ускорению тока крови, что необходимо для улучшения функции кислородно-транспортной системы. Общее периферическое сопротивление снижается в среднем на 15%.

Как показали предыдущие исследования [6] в условиях относительного физиологического покоя ударный объем при ротовом дыхании увеличивается в среднем на 10,2%. Минутный объем кровообращения по отношению к исходной величине увеличивается в среднем на 11,7%. Увеличение минутного объема кровообращения обусловлено как ростом ударного объема сердца, так и относительным повышением частоты пульса. В условиях понижения среднединамического

давления компенсаторная функция сердечно-сосудистой системы направлена на поддержание в сосудистой системе градиента давления, необходимого для адекватного кровотока.

Результаты исследования показали следующую картину.







Рис. 1.

Рис. 2.

Рис. 1. Динамика статического компонента работы (А) сердца и среднединамического давления (Б) при носовом (1) и ротовом (2) дыхании в условиях относительного физиологического покоя. Статистический показатель уровня достоверности: $P < 0,05$.

Рис. 2. Динамика кинетической энергии сердечного выброса (А) и скорости сердечного выброса (Б) при носовом (1) и ротовом (2) дыхании в условиях относительного физиологического покоя. Статистический показатель уровня достоверности: $P < 0,05$.

Выключение носового дыхания приводит к снижению легочной вентиляции [1,7]. Усиление насосной функции сердца, как один из самых ранних и чувствительных компенсаторных механизмов способствует усилению транспорта кислорода.

Динамика величин, характеризующих энергетику мышечного сокращения, свидетельствует об увеличении расхода энергии. Статический и кинетический компоненты работы, совершаемой сердцем, увеличиваются преимущественно за счет увеличения ударного объема крови. Относительное увеличение кинетической энергии сердечного выброса способствует поддержанию адекватной циркуляции крови, что важно в условиях снижения сосудистого тонуса и необходимо для улучшения состояния кислородно-транспортной системы (в условиях снижения легочной вентиляции). Надо полагать, что в условиях ротового дыхания имеет место повышение сократимости миокарда. В целом увеличение механической работы, как за счет статического, так и кинетического компонентов, однозначно свидетельствует, что в условиях ротового дыхания увеличивается производительность сердца. Можно считать, что в условиях относительного физиологического покоя, при исключительно ротовом дыхании, имеет место гиперфункция миокарда левого желудочка сердца. В данном случае, можно полагать, что имеет место компенсаторная гиперфункция. В результате выключения носового дыхания возникают изменения во всех звеньях системы кровообращения, включая центральную гемодинамику и периферическое кровообращение. Динамика статического и кинетического компонентов работы, совершаемой сердцем, способствует норма-

ლიზაციი ვенозного притока и сохранению адекватного организму ударного объема за счет мобилизации базального резервного объема желудочков.

Change of Static and Kinetic Components of Heart Mechanical Work during Different Types of Respiration in Conditions of Relative Physiological Rest

G. Eliava, M. Gugeshashvili, N. Begishvili, L. Berulava, N. Sharashenidze
Tbilisi State Medical University, Georgian Quality Control University

The study was aimed at investigation static and kinetic components of mechanical work of heart during different types of respiration in conditions of relative physiological rest. Healthy subjects aged of 19-20 were studied during nasal and oral respirations. The tetrapolar rheography was used. By the oral respiration static and kinetic components of heart work was increased. Static and kinetic components of heart work was increased advantage for systolic volume. Kinetic component of heart work to promote adequate circulation of blood and improve transportation of oxygen.

Литература:

1. Бакурадзе А.Н., Элиава Г.Г. Респираторные раздражения дыхательных путей и методические рекомендации к их исследованию. Тбилиси, 1987, с. 36-61.
2. Буков В.А., Фельбербаум Р.А. Рефлекторные влияния с верхних дыхательных путей. - М.: Медицина, 1980. - с. 62-80.
3. Р.А. Меркулова, С.В. Хрущев, В.Н. Хельбин. Возрастная кардиогемодинамика у спортсменов. М., Медицина 1989, с. 34-36.
4. Остапкович В.Е. Состояние научных исследований по проблеме профессиональных заболеваний ЛОР-органов в медицинских учреждениях страны // Вестн. оторинолар. - 1982-№1. - с. 3-9.
5. Остапкович В.Е., Бروفман А.В. Профессиональные заболевания ЛОР-органов. - М.: Медицина, 1982. - с. 30-50.
6. Г.Г. Элиава, Л.Г. Берулава, Н.Я. Чихория, Г.Ш. Квелиашвили, Н.Д. Мшвениерадзе, М.Ш. Гугешашвили, Ц.В. Сохадзе. Состояние кардиогемодинамики при различных типах дыхания в условиях относительного физиологического покоя. Известия АН Грузии, сер. биол. А., 2004, т. 30, №1, с. 65-69.
7. Douglas N.J. White D.P. Weil J.V. Zwillich C.W. Respiration Physiology, 1983, 52, 209-218.

დაუცველი მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს ანგიოპლასტიკის გამოცდილება საქართველოში

დ. ამბულაბელი, თ. შაბურიშვილი
თბილისის შპს “დიაგნოსტიკური სერვისის კლინიკა”

სტატისტიკურად კორონარული არტერიების ათეროსკლეროზული დაავადების მქონე პაციენტთა 5%-ს აღენიშნება მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს მნიშვნელოვანი, 75% ზე მეტი ხარისხის სტენოზი. ამ პაციენტთა 50%-ს დამატებით აქვს სამივე სისხლძარღვის ათეროსკლეროზული დაზიანება და რამდენიმე თამხლები პათოლოგია, რომელიც თავისთავად ზრდის ნებისმიერი ინვაზიური პროცედურის ჩატარების რისკს. ამ ჯგუფში მხოლოდ მედიკამენტური თერაპიით მკურნალობისას 5 წლიანი სიკვდილიანობა თითქმის 50%-ს აღწევს. პრობლემის აქტუალობის გამო გასული საუკუნის 70-80იანი წლებიდან დაიწყო მედიკამენტური თერაპიის ალტერნატივის ძიება. აორტო-კორონარული შუნტირების დანერგვასთან ერთად დაგროვდა მასალა, რომელმაც აჩვენა, რომ ეს მეთოდი მნიშვნელოვნად ამცირებდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში პაციენტების სიკვდილიანობას: 5 წლიან სიკვდილიანობას ამცირებს 66%-ით, 10 წლიანს - 33%-ით. შთამბეჭდავი შედეგების გამო მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს სტენოზის მკურნალობის ოქროს სტანდარტად ითვლება აორტო კორონარული შუნტირება. ამერიკის კარდიოლოგთა კოლეჯის 2004 წლის გაიდლაინის მიხედვით მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს მნიშვნელოვანი სტენოზის შემთხვევაში I რიგის რეკომენდაციაა აორტო-კორონარული შუნტირება.

აორტო-კორონარული შუნტირება წარმოადგენს საკმაოდ ტრავმულ, ტექნიკურად რთულ პროცედურას, რომელსაც ხშირად თან ახლავს ისეთი მძიმე ჰოსპიტალური გართულებები როგორიცაა მედიასტინიტი, ინსულტი, სეფსისი ჰოსპიტალური სიკვდილიანობა აღწევს 7%-ს; 1 წლიანი სიკვდილიანობა - 14%-ს.

1971 წლიდან 1998 წლამდე საბიკის და კოლ. მიერ (Sabik et al.) ჩატარდა დაკვირვება 26927 პაციენტზე რომელთაც ჩაუტარდათ აორტო-კორონარული შუნტირება მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს მნიშვნელოვანი სტენოზის გამო (A Benchmark for evaluating innovative treatment of left main coronary artery disease). სიკვდილიანობა და განმეორებითი რევასკულარიზაციის საჭიროება მოცემულია I ცხრილში.

	30 დღე	1 წელი	5 წელი	10 წელი	15 წელი	20 წელი
სიკვდილიანობა	2,4%	6,4%	17%	26%	56%	72%
განმეორებითი რევასკულარიზაციის საჭიროება	0,3%	1,1%	3,4%	11%	24%	39%

შუნტირების ტექნიკური სირთულის და გართულებების მაღალი სიხშირის გამო იყო მცდელობა შექმუშავენინათ ალტერნატიული, ნაკლებტრავმული და სიკვდილიანობის თვალსაზრისით უკეთესი შედეგების მეთოდი. პირველი მცდელობა ეკუთვნოდა გრუნციგს (Andreas Grunzig) 1977 წელს. გრუნციგმა სცადა დაუცველი მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს ბალონური ანგიოპლასტიკა. კორონარის განშრევების გამო პირველივე შემთხვევები დასრულდა წარუმატებლად, ამიტომ დაასკვა რომ მარცხენა კორონარული არტერიის ბალონური ანგიოპლასტიკა არ იყო მიზანშეწონილი.

ანგიოპლასტიკისას წამლით დაუფარავი სტენტირების გამოყენების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა ინტრაპროცედურული გართულებები და სისხლძარღვის განშრევების შემთხვევები, თუმცა პაციენტების 40%-ს 1 წლის განმავლობაში ესაჭიროებოდათ სტენტის განმეორებითი რევასკულარიზაცია. არაოპტიმალური შედეგების გამო დღემდე აორტო კორონარული შუნტირება რჩება პრიორიტეტად მარცხენა კორონარული

არტერიის მნიშვნელოვანი სტენოზის შემთხვევაში: ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის რეკომენდაციის მიხედვით: მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს მნიშვნელოვანი სტენოზის არსებობისას, ანგიოპლასტიკა არის Ix რიგის რეკომენდაცია თუ არ არის აორტო-კორონარული შუნტირების ჩატარების საშუალება. თუ შესაძლებელია აორტო-კორონარული შუნტირების ჩატარება, ანგიოპლასტიკა არ არის რეკომენდირებული.


ოპერაციული ტექნიკის დახვეწასთან და წამლით დაფარული სტენტების დანერგვასთან ერთად მნიშვნელოვნად შემცირდა სტენტის რესტენოზის სიხშირე, რის გამოც კვლავ გაიზარდა ინტერესი მარცხენა კორონარული არტერიის ანგიოპლასტიკის მიმართ. ბოლო პერიოდში ხშირად ტარდება დაკვირვებები ამ სფეროში, თუმცა საკმარის სტატისტიკური ძალის მქონე რანდომიზირებული კვლევის შედეგები ჯერ არ არის გამოქვეყნებული. ამჟამად მიმდინარეობს 2 დიდი რანდომიზირებული კვლევა: SYNTAX – Synergy between Percutaneous Intervention with TAXUS and Cardiac Surgery. (ტაქსუსით კანგავლითი კორონარული ინტერვენციის და აორტო-კორონარული შუნტირების შორის სინერგია); COMBAT – Comparison of Bypass surgery and angioplasty. (აორტო-კორონარული შუნტირების და ანგიოპლასტიკის შედარება).

დაუცველი მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს სტენტირების თემატიკით დი-აგნოსტიკური სერვისის კლინიკაში 2006 წლიდან 2009 წლამდე ჩატარდა დაკვირვება, რომელშიც შევიდა 81 პაციენტი. ყველა მათგანს ჩატარდა მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს სტენტირება. 43 პაციენტში ანგიოპლასტიკა ჩატარდა წამლით დაფარული სტენტით, 38-ში - წამლით დაუფარავი სტენტით. სტენოზის ხარისხის შეფასება ხდებოდა რაოდენობრივი ანალიზის კომპიუტერული პროგრამით. წამლით დაფარული სტენტების ჯგუფში გამოყენებული იქნა შემდეგი სტენტები: 24 სიროლიმუსით დაფარული (Sypher, Cordis), 10 ტაკროლიმუსით (Janus, Sorin), 4 პაკლიტაქსელით (Taxus, Boston Scientific), 5 ტრაპიდილით. (Intrepid, ClearStem). პაციენტების საშუალო ასაკი იყო $65,4 \pm 14,7$ წელი. ძირითადი კრიტერიუმი რის მიხედვითაც პაციენტს უტარდებოდა ანგიოპლასტიკა:

1. მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს მნიშვნელოვანი სტენოზი (სტენოზის ხარისხი $\geq 75\%$).
 2. ანგიოპლასტიკისთვის შესაფერისი ანატომია და ქვემოთ ჩამოთვლილთაგან მინიმუმ ერთი:
 1. პაციენტის და მკურნალი ექიმის მიერ ანგიოპლასტიკაზე უპირატესობის მინიჭება ან CABG ჩატარების შეუძლებლობა.
 2. პაციენტებს რომელთაც CABG-ს შემდეგ განუვითარდა თავად შუნტის ან სამიზნე სისხლძარღვის რესტენოზი შუნტის დისტალურად.
 3. მწვავე, გადაუდებელი შემთხვევები (კარდიოგენული შოკი, ST ელევაციით მ.ი.)
- საერთო ჯამში 17 პაციენტი ჰოსპიტალიზაციისას წარმოადგენდა კარდიოგენული შოკის სიმტომებს (სისტოლური წნევა < 90 მმ ვწყ. სვ. 30 წთ-ზე ხანგრძლივად, ინოტროპული თერაპიის გარეშე, პერიფერიული ცირკულაციის მკვეთრი დეფიციტი). პრეპროცედურული სტაბილიზაცია (კრისტალოიდები, ინოტროპები, აორტული კონტრპულსაცია) გაიარა 8 პაციენტმა, დანარჩენს ჩატარდა სასწრაფო რევასკულარიზაცია. ჰოსპიტალური სიკვდილიანობა შეადგენდა 5 პაციენტს (29,4%); 1 წლიანი სიკვდილიანობა - 7 პაციენტს (41%). სტატისტიკურად პაციენტებში, რომლებსაც კლინიკურად გამოხატული აქვთ კარდიოგენული შოკის სიმტომები, მხოლოდ მედიკამენტური თერაპიის გამოყენებისას ჰოსპიტალური სიკვდილიანობა აღწევს 90%. ჩვენ შემთხვევაში ჰოსპიტალური სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად ნაკლები დაფიქსირდა - 29,4%. კარდიოგენული შოკის ჯგუფში 10-მა პაციენტმა დაასრულა ერთწლიანი დაკვირვება, აქედან: 4 პაციენტში - LVEF $> 40\%$; 6 პაციენტში - LVEF $> 30\%$ (სურ 1).

წამლით დაფარული სტენტის ჯგუფში დაკვირვების ხანგრძლივობა შეადგენდა მინიმუმ 1 წელს. ანგიოგრაფიული შემოწმება ანგიოპლასტიკიდან 1 წლის შემდეგ გაიარა 38 პაციენტმა. ყველა პაციენტს ანგიოპლასტიკის შემდეგ ჩატარდა ორმაგი სტადარტული ანტითრომბოზული მკურნალობა ლოკალური პრაქტიკის მიხედვით: ასპირინი 100 მგ. დღეში, კლოპიდოგრელი 75 მგ დღეში მინიმუმ 18 თვის განმავლობაში. 39

პაციენტში კლოპიდოგრელის დატვირთვის დოზიდან (300მგ) ანგიოპლასტიკამდე გასული იყო >6სთ, 4 პაციენტში > 2სთ-ს. წამლით დაფარული სტენტის ჯგუფში შევიდა: არაბიფურკაციული ოსტიალური და შუა სტენოზები – 14, დისტალური ბიფურკაციული – 29, მ.ი. ST ელევაციით – 21, კარდიოგენული შოკი – 4, მ.ი. ST ელევაციის გარეშე – 14, არასტაბილური სტენოკარდია – 8. არც ერთ პაციენტთან არ იყო გამოყენებული ინტრაკორონარული ულტრაბგერითი გამოკვლევა, მჭრელი ბალონი და როტაბლატორი.



სურ. 1

პაციენტი 70წ. მამაკაცი შემოვიდა კლინიკაში მარცხენა პარკუტის წინა კედლის ST ელევაციით მიმდინარე მიოკარდიუმის ინფარქტით. კლინიკურად გამოსატყულო იყო კარდიოგენური შოკი.

1. მარჯვენა კორონარულ არტერიაზე პროქსიმალური 50% სტენოზი (LAO)
2. მარცხენა კორონარული არტერიის დერო დისტალურად ოკლუზირებული (AP)
3. სტენოზში სტენტის ბალონის გაბურვა (AP)
4. შედეგი (AP)
5. შედეგი (LL)

პაციენტმა დაასრულა 1წლიანი დაკვირვება. 1 წლის შემდეგ LVEF >40%


LAO- მარცხენა წინა ირბი პროექცია; AP- ფრონტალური პროექცია; LL - მარცხენა გვერდითი პროექცია;

კანგავლითი კორონარული ანგიოპლასტიკის ადრეული პერიოდიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში მარცხენა კორონარული არტერიის დეროს ოსტიალური სეგმენტის ანგიოპლასტიკა ითვლებოდა მიზანშეუწონლად, რადგან მიიჩნეოდა, რომ ამ დროს განსაკუთრებით დიდია აორტის განშრევების საფრთხე. ჩვენი დაკვირვების შედეგად ორივე: წამლით დაფარული და წამლით დაუფარავი სტენტების ჯგუფში შევიდა 26 ოსტიალური სეგმენტის ანგიოპლასტიკა. აორტის განშრევება არც ერთთან არ დაფიქსირებულა. (სურ 2)

29 ბიფურკაციული ანგიოპლასტიკიდან გამოყენებული იქნა:


- 4 მინიკრაშ ტექნიკა
- 7 T სტენტირებით
- 10 T პროვიზორული სტენტირება (ერთი სტენტის გამოყენებით)
- 8 “culotte” ტექნიკით

ყველა პროცედურა დასრულდა kissing ბალონირებით. ინტრაპროცედურული წარმატება იყო 97,7% (ნარჩენი სტენოზი <30%), მხოლოდ 1 პაციენტში იყო ნარჩენი სტენოზი >30%. (სურ 3).



სურ. 2

- 1, 2. მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს ოსტიალური 90% სტენოზი (AP, SPIDER)
 3. სტენტის ბაღისი გაბერვის მიხედვით (AP)
 - 4, 5. შედეგი (AP, SPIDER)
- AP- ფრონტალური პროექცია; SPIDER – მარცხენა წინა პროექცია კალდალური ანგულაციით.




ცალკე
ღნიშვნის
ღირსია
პაციენტები,
რომლებსაც
აორტო

სურ. 3

1. მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს დისტალური ბიფურკაციული სტენოზი (RAO)
 2. I სტენტის იმპლანტაცია გვერდით ტოტში (შემომსხვევი არტერია), სტენტის პროქსიმალური ნაწილი ამოღის მარცხენა კორონარული არტერიის ღეროში (AP)
 3. II სტენტის იმპლანტაცია I სტენტის გვერდითი ნაპრაღის გადვით ძირითად ტოტში (მარცხენა წინა დასწვრივი ტოტი) სტენტის პროქსიმალური ნაწილი ამოღის მარცხენა კორონარული არტერიის ღეროში და გადაბერილია. (RAO)
 4. ხაზოვლო "KISSING" ბაღონირება. (RAO)
 5. შედეგი (AP)
- AP- ფრონტალური პროექცია; RAO – მარჯვენა წინა ირბი პროექცია.

კორონარული შუნტირების შემდეგ განუვითრდათ შუნტის ან სამიზნე სისხლძარღვის რესტენოზი. სურ 4, სურ 5.




სურ. 4

პაციენტს შეტყობის ინფარქტიდან 17 თვის შემდეგ ისევ დავუყო სტენოკარდიული ტკივილი ფიზ. დატვირთვაზე.

1. დიაგნოსტიკურმა კორონაროგრაფიამ გამოავლინა შეტყობ გამოყენებული გულმკერდის შეფხვით არტერიის ოკლუზია, (LAO)
2. მარცხენა კორონარული არტერიის შუა არაბიფურკაციული სტენოზი (AP)
3. სტენტის ინსტალაცია ბაღოზის გაბერვის მომენტში (AP)
4. შედეგი (AP)

AP- ფრონტალური პროექცია; LAO – მარცხენა წინა ირიბი პროექცია;



სურ. 5

პაციენტს სტენოკარდიული ატაკის მარცხენა წინა დასვრთვი ტიპის შეტყობება გულმკერდის შეფხვით არტერიით. შეტყობის ინფარქტის შემდეგ სტენოკარდიული ტკივილის გამო ხელკარგი დიაგნოსტიკური ანგარიშაობა.

1. მარცხენა კორონარული არტერიის დერო დისტალურად ოკლუზირებული (AP)
2. მარცხენა კორონარული არტერიის პროქსიმალურად ოკლუზირებული (LAO)
3. მარცხენა წინა დასვრთვი ტიპის (LIMA_LAD) შეტყობის დისტალურად შუა 90% სტენოზი, ამ შემთხვევაში მარცხენა წინა დასვრთვი ტიპი წარმოადგენს ერთადერთ გამაღებ სისხლძარღვს, ამიტომ ნათელია მარცხენა კორონარული არტერიის დერო შედეგად (AP)
4. სტენტის ინსტალაცია ბაღოზის გაბერვის მომენტში (AP)
5. შედეგი (AP)

AP- ფრონტალური პროექცია; LAO – მარცხენა წინა ირიბი პროექცია; LIMA – მარცხენა გულმკერდის შეფხვით არტერია; LAD – მარცხენა წინა დასვრთვი ტიპი.

წამლით დაფარული სტენტის ჯგუფში მიღებული შედეგები:


	ლეტალური	ანგიოგრაფიულად დადასტურებული ადრეული სტენტის თრომბოზი	ჰოსპიტალიზაციისას მ.ი. (პერიპროცედურულად CK-mb mass >3ULN)	ანგიოგრაფიულად დადასტურებული სტენტის რესტენოზი	გვიანი სტენტის თრომბოზი
ჰოსპიტალური	2,3%	2,3%	7,0%	—	—
1 წლიანი	4,7%	—	9,3%	9,3%	2,3%

ერთწლიანი დაკვირვებისას მიოკარდიუმის ახალი ინფარქტი აღენიშნა 4 პაციენტს (9,3%). აქედან 2 პაციენტს აღენიშნა ახალი სტენოზი (1-ს RCA-ს შუა სეგმენტში, მეორეს- LCX-ს პირველ მარგინალურ ტოტში).

ანგიოპლასტიკურად დადასტურებული სტენტის რესტენოზი – 4 პაციენტი (9,3%) (1-პაკლიტაქსელი, 2-სიროლიმუსი, 2-ტაკროლიმუსი). 3 მათგანში ინდექს შემთხვევის დროს ჩატარებული იყო ბიფურკაციული სტენტირება, (აქედან ორი მათგანში შაქრიანი დიბეტი, დისლიპიდემია ანამნეზში), 1 პაციენტთან - შუა სეგმენტის სტენტი (ანამნეზში 15 წელი დიაბეტი). სტენტის გვიანი თრომბოზი – 1 პაციენტი (2,3%). ამ პაციენტი სიკვდილის მიზეზად სავარაუდოდ მიჩნეული იყო უეცარი კარდიული სიკვდილი, რის გამოც ვერ იქნა გამოორიცხული სტენტის გვიანი თრომბოზი.

მიღებული შედეგების მიხედვით სტენტის რესტენოზის განვითარების სიხშირემ 1 წლის განმავლობაში შეადგინა 9,3%. სტენტის რესტენოზის მაღალი სიხშირე სავარაუდოდ გამოწვეული იყო პაციენტთა მაღალ პროცენტში დისტალური, ბიფურკაციული სტენტირების გამოყენებით. ბიფურკაციასთან ლოკალიზებული სტენოზები ჯერ კიდევ ასოცირებულია ცუდ კლინიკურ გამოსავალთან და არ არსებობს მეურნეობის ოპტიმალური ანგიოპლასტიკური მეთოდიკა აღნიშნული. არსებობს მოსაზრება, რომ რესტენოზის თვალსაზრისით ოპტიმალურ შედეგებს იძლევა 1 სტენტის იმპლანტაცია მთავარ ტოტში და გვერდითი ტოტის ბალონური ანგიოპლასტიკა, თუმცა ბოლო პერიოდში გავრცელდა კვლევები სადაც ყველაზე ოპტიმალურ ტაქტიკად ბიფურკაციული სტენტირებისას მიჩნეულია “Culot” ტექნიკით სტენტირება 2 სტენტის გამოყენებით.

რესტენოზის სიხშირე ოსტიალური და შუა სეგმენტის შემთხვევაში ძალიან იშვიათია. ჩვენ დაკვირვებაში იგი აღწევდა 7,1%-ს. აღნიშნული ციფრი ნათლად არ ასახავს რეალურ სტატისტიკურ მაჩვენებელს რადგან ამ ჯგუფში შესული პაციენტების რიცხვი საკმაოდ მცირე იყო. ბიფურკაციულ სტენტირებას ჩვენ დაკვირვებაში, ერთწლიანი რესტენოზის სიხშირე 15,7%-ს აღწევს. მარცხენა კორონარული არტერიის დეროს ბიფურკაციის შემთხვევაში ორი სტენტის გამოყენებისას სხვადასხვა ლიტერატურის მიხედვით რესტენოზის სიხშირე 8 – 15,4%-მდე მერყეობს. (park at al.; valgimigli at al.; chieffo et al;) (119-7,8,9). სხვა ლოკალიზაციის ბიფურკაციული სტენტირების შემთხვევაში როცა გამოყენებულია წამლით დაფარული 2 სტენტი, სხვადასხვა ცენტრების მონაცემებით რესტენოზის სიხშირე მერყეობს: 2 სტენტის გამოყენებისას -1%-13,5%-მდე. 1სტენტის გამოყენებისას: 1,9%-10,9%-მდე. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნად რომ მარცხენა კორონარული არტერიის დეროს დისტალური ბიფურკაციული სტენოზების სტენტირებისას რესტენოზის სიხშირე 1 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ აღემატება სხვა ლოკალიზაციის ბიფურკაციული სტენტირებისას რესტენოზის სიხშირეს. სტენტის რესტენოზი სიხშირე ბიფურკაციული სტენტირებისას 2 სტენტით (1წლის განმავლობაში) % ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე დიდი დაკვირვების შედეგები, სადაც მონაწილეობდნენ პაციენტები რომელთაც ჩაუტარდათ მარცხენა კორონარული არტერიის დეროს ანგიოპლასტიკა:



ხანგრძლივი კლინიკური და ანგიოგრაფიული შედეგები მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს სიროლიმუსით დაფარული სტენტით ანგიოპლასტიკის შემდეგ Long-term clinical and angiographic outcomes of treatment of unprotected left main coronary artery stenosis with sirolimus-eluting stents (Sheiban et al.)¹³

85 პაციენტი 2002-2004წ	ლეტალური	მ.ი.	სტენტის რესტენოზი	სტენტის თრომბოზი
% 24 თვეში	2,4	3,6	10,8% (9თვეში 8,2%)	0

საშუალო ხანგრძლივობის შედეგები მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს ტაქსუსით ანგიოპლასტიკისას, ფრანგული მულტიცენტრული რეგისტრი Mid term results of the French multicenter taxus left main registry¹⁴. (78,4% ში ჩატარდა დისტალური, ბიფურკაციული ULMCA-ს ანგიოპლასტიკა.)

291 პაციენტი 2003-2005წ	სიკვდილიანობა	სტენტ თრომბოზი	მ.ი.	სამიზნე სისხლძრღვის რევასკულარიზაცია	MACCE დიდი კარდი- ული და ცერებრო- ვასკულარული გვერ- დითი მოვლენები
საწყისი პოსპიტალიზაცია	0,7%	0,34%	2,7%	0,34%	3,4%
24 თვე	5,2%	3,1%	3,5%	7,9%	19,4%

კეთილსაიმედო ხანგრძლივი შედეგები დაუცველი მარცხენა კორონარული არტერიის არაბიფურკაციული სტენოზების წამლით დაფარული სტენტით ანგიოპლასტიკის შემდეგ, მულტიცენტრული რეგისტრი Favorable long-term outcome after drug eluting stent implantation in nonbifurcation lesions that involve unprotected left main coronary artery: a multicenter registry¹⁴. ST ელევაციით ან ელევაციის გარეშე მ.ი-ს მქონე პაციენტები გამოირიცხა. დაკვირვება გაგრძელდა 886±308 დღე.

886±308 დღის დაკვირვების შემდეგ:	
ლეტალური შედეგი	3,4%
განმეორებითი რევასკულარიზაცია	4,8%
ანგიოგრაფიულად დადასტურებული სტენტის თრომბოზი	2,7%
ანგიოგრაფიულად დადასტურებული სტენტის რესტენოზი	0,9%

დღეისათვის უკვე არსებობს საკმარისი დიდი გამოცდილება დაუცველი მარცხენა კორონარული არტერიის სტენტირებისა. მიუხედავად იმისა რომ ჯერ კიდევ არ დასრულებულა დიდი რანდომიზირებული კვლევა აღნიშნულ სფეროში, არსებული მასალები საშუალებას იძლევა გაკეთდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა:

- 1) დახვეწილი პროცედურული ტექნიკის გამოყენების შემთხვევაში დაუცველი მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს ოსტიალური და შუა

არაბიფურკაციული სეგმენტების ანგიოპლასტიკა წარმოადგენს უსაფრთხო და ეფექტურ მეთოდს. იშვიათად იძლევა სტენტის განმეორებითი რევასკულარიზაციის აუცილებლობას. ძალიან იშვიათია სტენტის ადრეული და გვიანი თრომბოზი. 1 წლიანი სიკვდილიანობის მიხედვით იძლევა უკეთეს შედეგს ვიდრე CABG.

- 2) მწვავე მ.ი.-ს კარდიოგენური შოკით გართულების შემთხვევაში დაუცველი მარცხენა კორონარული არტერიის ანგიოპლასტიკა წარმოადგენს ყველაზე სწრაფ, ოპტიმალურ და ეფექტურ მეთოდს. საშუალებას იძლევა მნიშვნელოვანად გააუმჯობესოს LVEF, შეამციროს გართულებების სიხშირე და სიკვდილიანობა პოსპიტალიზაციისას.
- 3) დაუცველი მარცხენა კორონარული არტერიის მნიშვნელოვანი სტენოზის შემთხვევაში სტენტირება წარმოადგენს ერთადერთ ოპტიმალურ ტაქტიკას მაღალი რისკ ჯგუფი პაციენტებში. (პაციენტები რომელთა ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა მცირეა თანდართული პათოლოგიის გამო, თირკმლის უკმარისობის, უკანასკნელი 6 თვის მანძილზე ინსულტის, კარდიოგენური შოკის.)
- 4) CABG-ს შემდგომ შუნტზე განვითარებული სტენოზის ან სამიზნე სისხლძარღვის რესტენოზის შემთხვევაში მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს ანგიოპლასტიკა წარმოადგენს მკურნალობის უსაფრთხო და ეფექტურ მეთოდს.
- 5) დაუცველი მარცხენა კორონარული არტერიის ღეროს ბიფურკაციული სტენტირებისას 1 წლის განმავლობაში რესტენოზის სიხშირე სხვადასხვა კვლევების მიხედვით აღწევს 8-15,4% რაც ბევრად არ აღემატება სხვა ლოკალიზაციის ბიფურკაციული სტენტირების შედეგებს (1%-13,5%).

Experience of Unprotected Left Main Coronary Artery Intervention in Georgia

*L. Amaghlobeli, T. Shaburishvili
“Diagnostic Service Clinic”, Tbilisi*

An important experience of Unprotected Left Main Coronary Artery Intervention exists for today. Despite of the unfinished randomized trial according to the above mentioned problem, already existing materials give us opportunity to conclude, that frequency of restenosis after unprotected left main coronary artery intervention is approximately 15,4%, which is near the results of the other localization interventions (1%-13.5%).

literatura:

1. Chaitman BR, Fisher LD, Bourassa MG, Davis K, Rogers WJ, Maynard C, Tyras DH, Berger RL, Judkins MP, Ringqvist I, Mock MB, Killip T, Effect of Coronary Bypass Surgery on Survival Patterns in Subsets of Patients With Left Main Coronary Artery Disease. Report of the Collaborative Study in Coronary Artery Surgery (CASS). Am. j Cardiol 1981;48:765-777
2. O’Keefe JH Jr, Hartzler GO, Rutherford BD, McConahay DR, Jonson WL, Giorgi LV, Ligon RW. Left Main Coronary Angioplasty: early and late results of 127 acute and elective procedures. Am J Cardiol 1989;64:144-147.
3. Silber S, Albertsson P, Aviles FF, Camici PG, Colombo A, Hamm C, Jorgensen E, Marco J, Nordrehaug JE, Ruzyllo W, Urban P, Stone GW, Wijins W. Guidelines for percutaneous coronary

- interventions. The Task Force for Percutaneous Coronary Interventions of the European Society of Cardiology. *Eur Heart J*. Apr. 2005;26(8):804-847
4. Smith SC, Jr., Feldman TE, Hirshfeld JW, Jr., Jacobs AK, Kern MJ, King SB, 3rd, Morrison DA, O'Neill WW, Schaff HV, Whitlow PL, Williams DO, Antman EM, Adams CD, Anderson JL, Faxon DP, Fuster V, Halperin JL, Hiratzka LF, Hunt SA, Nisimura R, Ornato JP, Page RL, Riegel B. ACC/AHA/SCAI 2005 Guidelines Update for Percutaneous Coronary Intervention – summary article: A report of the American College of Cardiology/American Heart Association Task Force on Practice Guidelines (ACC/AHA/SCAI Writing Committee to Update the 2001 Guidelines for Percutaneous Coronary Intervention). *Circulation*. Jan 3 2006; 113(1):156-175.
5. Sabik JF, 3rd, Blackstone EH, Fistenberg M, Lytle BW. A benchmark for evaluating innovative treatment of left main coronary disease. *Circulation*. Sep. 11 2007;116(11 Suppl):1232-239.
6. Beauford RB, Saunders CR, Lunceford TA, Niemeier LA, Shah S, Karanam R, Prendergast T, Burnes p, Sardari F, Goldstein DJ. Multivessel off-pump revascularization in patients with significant left main coronary artery stenosis: early and midterm outcome analysis. *J Card. Surg*. 2005;20:112-118
7. d'Allonnes FR, Corbineau H, Le Breton H, Leclercq C, Leguerrier A, Daubert C. Isolated left main coronary artery stenosis: long term follow up in 106 patients after surgery. *Heart*. 2002;87:544-548
8. Holm F, Lubanda JC, Semrad M, Rohac J, Vondracek V, Miler I, Vanek I, Golan L, Ascherman M.[Main clinical and surgical determinants of in-hospital mortality after surgical revascularization of left main coronary artery stenosis: 2 year retrospective study (1998-1999)]. *J Mal Vasc*. 2004;29:89-93
9. Lu JC, Grayson AD, Pullan DM. On-pump versus off-pump surgical revascularization for left main stem stenosis: risk adjusted outcomes. *Ann Thorac Surg*. 2005;80:136-142.
10. Park SJ, Kim YH, Lee BK, Lee SW, Lee CW, Hong MK, Kim JJ, Mintz GS, Park SW. Sirolimus-eluting stent implantation for unprotected left main coronary artery stenosis: comparison with bare stent implantation. *J Am Coll Cardiol*. Feb 1 2005;45(3):351-356
11. Agostoni P, Valgimigli M, Van Mieghem CA, Rodriguez-Granillo GA, Aoki J, Ong AT, Tsuchida K, McFadden EP, Ligthart JM, Smits PC, de Jaegere P, Sianos G, Van der Giessen WJ, De Feyter P, Serruys PW. Comparison of early outcome of percutaneous coronary intervention for unprotected left main coronary artery disease in the drug-eluting stent era with versus without intravascular ultrasonic guidance. *Am J Cardiol*. Mar 1 2005;95(5):644-647
12. Chieffo A, Colombo A. Treatment of unprotected left main coronary artery disease with drug-eluting stents: is it time for randomized trial? *Nat Clin Pract Cardiovasc Med*. Aug 2005;2(8):396-400
13. Sheiban I, Meliga E, Moretti C, Biondi-Zoccai GG, Rosano G, Sciuto F, marra WG, Omede P, Gerasimou A, Trevi GP. Long-term clinical and angiographic outcomes of treatment of unprotected left main coronary artery stenosis with sirolimus-eluting stents. *Am j Cardiol*. Aug 1 2007;100(3):431-435
14. Chieffo A, Park SJ, Valgimigli M, Kim YH, Daemen J, Sheiban I, Truffa A, Montorfano M, Airoldi F, Sangiorgi G, Carlino M, Michev I, Lee CW, Hong MK, Park SW, Moretti C, Bonizzoni E, Rogacka R, Serruys PW, Colombo A. Favorable long-term outcome after drug-eluting stent implantation in non-bifurcation lesions that involve unprotected left main coronary artery: a multicenter registry. *Circulation*. Jul 10 2007;116(2):158-162.

სტრეს-დაკავშირებული კარდიომიოპათიური სინდრომები

რ. აგლაძე¹; რ. შაქარიშვილი¹; ზ. ფაღავა^{1,2}

¹ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, ²სამედიცინო ცენტრი „ციტო“


სტრეს-დაკავშირებული კარდიომიოპათიური სინდრომი (Stress-Related Cardiomyopathy syndrome) შედარებით ახალი ცნებაა და ამ ეპონიმის ქვეშ რამდენიმე განსხვავებული პათოლოგიური მდგომარეობის ფონზე განვითარებული მიოკარდიული დისფუნქცია მოიაზრება, რომელსაც ჩვეულებრივ წინ უსწრებს მწვავე ფსიქო-ემოციური ან ფიზიოლოგიური სტრესული ფაქტორის არსებობა [1]. სინდრომის აღმოცენებაში მნიშვნელოვან პათოფიზიოლოგიურ როლს თამაშობს სიმპატიკური რეგულაციური მექანიზმების დარღვევა და კატექოლამინების სიჭარბით განპირობებული მიოკარდიული სტანინგი. შესაბამისად მაპროვოცირებელ ფაქტორად შესაძლოა სხვადასხვა კლინიკური მდგომარეობა მოგვევლინოს, ისეთი როგორიცაა მწვავე მენტალური ან ფიზიკური სტრესი [2], ანევრიზმის გასკდომის შედეგად სუბარაქნოიდულ ჰემორაგია [3], ფოქრომოციტური კრიზი ან მწვავე სეპტიური მდგომარეობა [4], როდესაც ადგილი აქვს მოცირკულირე კატექოლამინების (ენდოგენური ან ეგზოგენური) კონცენტრაციის მკვეთრ მატებას და მათ მიერ მიოკარდიუმზე ზეზღუბლოვან სტიმულაციურ მოქმედებას. ექსპერიმენტული კვლევებით დადგენილია, რომ კატექოლამინებით ჭარბი სტიმულაციის პირობებში ადგილი აქვს კარდიომიოციტების სპეციფიკურ დაზიანებას, რომელიც მიოციტოლიზისის ანუ კუმშვადი ჯაჭვების ნეკროზის (contraction band necrosis) სახით ვლინდება და მკვეთრად განსხვავდება იშემიით ინდუცირებული მიოკარდიუმის დაზიანებისაგან [4]. სხვადასხვა სტრესული მდგომარეობის ფონზე აღმოცენებული კარდიული დარღვევები შესაძლოა მანიფესტირდნენ კლინიკურად და ელექტროფიზიოლოგიურად მსგავსი, ხოლო პათომორფოლოგიურად ჰეტეროგენული სიმპტომოკომპლექსით. ამდენად, აქტუალურია სტრეს-ინდუცირებული კარდიომიოპათიური სინდრომის კლინიკური მანიფესტაციის, სავარაუდო ფიზიოლოგიური მექანიზმების და სპეციფიკური კლინიკური მახასიათებლების იდენტიფიცირება მათი განვითარების ადრეულ ეტაპებზე დაავადებამოდიფიცირების ზომების განხორციელებით.

1990 იანი წლების დასაწყისში პირველად იაპონურ პოპულაციაში აღწერილ იქნა ახალი კარდიომიოპათიური სინდრომი [5,6,7], რომლის აღმოცენებასაც ხშირ შემთხვევაში წინ უსწრებდა ძლიერი ემოციური სტრესი. აღნიშნული სინდრომი ლიტერატურაში ე.წ. Tako-Tsubo კარდიომიოპათიის, მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის ან ე.წ. 'გატეხილი გული' ('broken heart') სახელით მოიხსენება [8,9].

კლინიკური მანიფესტირების, მწვავე ფაზაში არსებული სიმპტომოკომპლექსის, ეკგ მონაცემებისა და კარდიული მარკერების მატებით Tako-Tsubo კარდიომიოპათია მკაფიოდ ემსგავსება მწვავე კორონარულ სინდრომს, თუმცა ანგიოგრაფიული გამოკვლევა ამ პაციენტებში ადასტურებს ინტაქტური კორონარების არსებობას, რაც იშემიას როგორც სინდრომის განვითარების შესაძლო პათოგენეზურ საფუძველს გამოირიცხავს [7,8]. სინდრომს მკვეთრი გენდერული დამოკიდებულება ახასიათებს, პაციენტთა უმრავლესობა (სხვადასხვა მონაცემის მიხედვით 82-100%) პოსტმენოპაუზური ასაკის ქალია [1,9]. მწვავე პერიოდში დამახასიათებელი ეკგ ნიშანი ST-სეგმენტის ელევაცია პაციენტთა დაახლოებით 90%-ში გვხვდება. პათოგნომურ ეკგ ნიშანს წარმოადგენს ღრმა ინვერსიული T-კბილის ჩამოყალიბება კლინიკური დებიუტიდან დაახლოებით 24-48 საათის შემდეგ, რასაც თან ახლავს QT ინტერვალის პროლონგირება [4,8] (სურათი 1). დამახასიათებელია მარცხენა პარკუჭის სისტოლური დისფუნქციის სპეციფიკური ექოკარდიოგრაფიული კორელატი, კერძოდ აპიკალური და შუა სეგმენტების კუმშვადი ფუნქციის მკვეთრი დარღვევა ბაზალური სეგმენტების ნორმალური, შენახული სისტოლური ფუნქციის ფონზე (სურათი 2). რეგიონული კუმშვადი ფუნქციის დარღვევა ჩვეულებრივ არ შეესაბამება რომელიმე კორონარული არტერიის საირიგაციო ზონას. მწვავე პერიოდში აღინიშნება კარდიული მარკერების რაოდენობის მცირე,

რეგიონალური დარღვევებისადმი დისპროპორციული მატება. თუმცა გულის მაგნიტურ-რეზონანსული და სცინტიგრაფიული გამოკვლევებით იშემიური ნეკროზისათვის დამახასიათებელი ცვლილებების აღმოჩენა არ ხერხდება [1]. ენდომიოკარდიული ბიოფსიით კი ზოგიერთ შემთხვევაში ვლინდება მიოციტოლიზისის სურათი რაც კატეპოლამინინდუცირებული კარდიოტოქსიურობის დამადასტურებელი ნიშანია [4]. ელექტროკარდიოგრაფიული და ექოკარდიოგრაფიული დარღვევები შექცევად ხასიათს ატარებენ და კლინიკურ მიმდინარეობაში ჩვეულებრივ აღვილი აქვს მარცხენა პარკუჭის გლობალური და რეგიონალური სისტოლური ფუნქციის სრულ აღდგენას [8,9].


სურათი №1. Tako-Tsubo კარდიომიოპათიის ქვეშევე პერიოდისათვის დამახასიათებელი ტიპური ეკგ ცვლილებები (საკუთარი მასალა).



სურათი №2. Tako-Tsubo კარდიომიოპათიის მწვავე პერიოდისათვის დამახასიათებელი ვენტრიკულოგრაფიული სურათი, აპიკალური და შუა სეგმენტების აკინეზია ბაზალური სეგმენტების ნორმალური კუმშვადობის ფონზე. ა. დიასტოლა ბ. სისტოლა (საკუთარი მასალა)



სურათი №3. “ცერებრული T-კბილები” სუბარაქნოიდული ჰემორაგიისთვის დამახასიათებელი ეკგ ნიშანი (American Journal of Critical Care. 2002; 11:48-56)



მარცხენა პარკუჭოვანი დისფუნქცია ასოცირებული მწვავე სუბარაქნოიდულ ჰემორაგიასა და სხვა სახის ინტრაკრანიალურ სისხლჩაქცევასთან კარგად ცნობილი მდგომარეობაა და ჯერ კიდევ 1954 წელს იქნა აღწერილი [10]. აღნიშნული სინდრომი ნევროგენული სტრეს კარდიომიოპათიის (ე.წ. „neurogenic stress cardiomyopathy“) სახელითაა ცნობილი და მის პათოფიზიოლოგიურ მექანიზმს ნევროგენული სტანინგი წარმოადგენს [15]. შემთხვევათა 75-92 %-ში ვლინდება სხვადასხვა სახის ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები [11]. Tako-Tsubo კარდიომიოპათიის მსგავსად პათოგნომურ ეკგ ნიშანს წარმოადგენს T კბილის ღრმა, სიმეტრიული ინვერსია (**სურათი 3**), ხშირია QT-ინტერვალის პროლონგირება, გამოკვეთილი U-ტალღა ან ST-სეგმენტის დეპრესია პრეკორდიალურ განხრებში, სხვადასხვა ტიპის რითმის დარღვევის აღმოცენება. სიცოცხლისათვის საშიში არითმია, ისეთი როგორიცაა პარკუჭოვანი ფიბრილაცია ან „torsade de pointe“ შეიძლება დაფიქსირდეს 24-საათიანი მონიტორინგით [16]. ვენტრიკულური ტაქიკარდიის გარბენები რეგისტრირებულია მონიტორირებულთა 20%-ში, ხოლო პროლონგირებული QT-ინტერვალი – 60%-ში. ეს უკანასკნელი ხშირად ასახავს დაგვიანებულ პარკუჭოვან რეპოლარიზაციას და პარკუჭოვანი არითმიისადმი მზაობას. გულის ელექტროგენეზის აღნიშნული ცვლილებების მექანიზმს საფუძვლად უდევს ინტენსიური სიმპათიკური სტიმულაცია, განპირობებული ინსულური ქერქის დისფუნქციით. მოწოდებულია აგრეთვე მოსაზრება არქიპალეო კორტექსში არითმოგენული ცენტრის არსებობის შესახებ [17]. პლაზმური ნორადრენალინისა და ეკგ-ს ცვლილებებს შორის კორელაცია ანევერიზმული სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევების შემთხვევაში კანონზომიერებას არ წარმოადგენს [18]. მწვავე პერიოდში აღინიშნება მიოკარდის დაზიანების მარკერების კონცენტრაციის მცირე მომატება რაც კუმშვადი ფუნქციის დარღვევის დისპროპორციულია [12,13]. ცნობილია, რომ სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მქონე პაციენტთა დაახლოებით 20-30% შემთხვევებში მუდგენდება მეორადი კარდიომიოპათიის და მარცხენა პარკუჭის რეგიონული კუმშვადობის დარღვევა, თუმცა აღნიშნული Tako-Tsubo კარდიომიოპათიის მსგავსად შექცევად ხასიათს ატარებს და არ არის დაკავშირებული კორონარულ პათოლოგიასთან [14]. არსებობს მოსაზრება, რომ თავის ტვინის მწვავე დაზიანების ფონზე ადგილი აქვს მიოკარდიუმის სიმპატიკურ ნერვულ ტერმინალებში ნორეპინეფრინის მასიურ გამოთავისუფლებას, რაც თავისმხრივ ადგილობრივად მიოციტების ლიზისს და კონტრაქტილურ დისფუნქციას იწვევს [12]. ამ ფონზე აღმოცენებული რეგიონული დარღვევები ძირითადად მარცხენა პარკუჭის ბაზალურ სეგმენტებს მოიცავს, მაშინ როდესაც აპიკალური სეგმენტების კუმშვადი ფუნქცია პრაქტიკულად ნორმის ფარგლებშია. რეგიონალური დისინერგიის ასეთი მოდელი კი ზუსტად შეესაბამება მარცხენა პარკუჭში სიმპატიკური ნერვული დაბოლოებების ანატომიურ განაწილებას [19]. საინერესოა რომ ნევროგენული სტრეს კარდიომიოპათიის ფონზე მიოკარდიუმის

ქსოვილის ჰისტოლოგიურმა გამოკვლევამ არ დაადასტურა იშემიური ნეკროზის არსებობა და გამოავლინა მიოციტოლიზის სურათი, რაც კატექოლამინებით ინდუცირებული მიოკარდიული დაზიანებისთვისაა დამახასიათებელი [1].

შედარებით მწირი კლინიკური მასალა არსებობს კატექოლამინების ჭარბი ენდოგენური პროდუცირების (ფეოქრომოციტული კრიზის) ან მაქსიმალური თერაპიული დოზის ფონზე განვითარებული კარდიული დისფუნქციის თაობაზე. თუმცა საინტერესოა, რომ ცალკეულ შემთხვევებში აღვილი აქვს მარცხენა პარკუჭის შექცევადი სისტოლური დისფუნქციის განვითარებას, რომელსაც შესაძლოა თან ახლდეს ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები და მიოკარდიუმის დაზიანების მარკერების კონცენტრაციის მატება ინტაქტური კორონარების არსებობის ფონზე [20,21].

მიოკარდიუმის ნევროგენული სტანინგი დადასტურებულია ცერებრული ინფარქტის [22], მწვავე სუბდურული ჰემატომის [23], ტვინის მეტასტაზური სიმსივნეების [24] და გილენ-ბარეს პოლინეიროპათიის [25] მქონე ავადმყოფთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ ნევროგენული მექანიზმით განპირობებული პარკუჭოვანი ჰიპოკინეზია ეპილეფსიის ფონზე ბოლო დრომდე არ განხილულა, ეპილეფსიურ სტატუსში დაღუპულთა მიოკარდის დაზიანების მიკრომორფოლოგიური კორელატები თითქმის ყოველთვის ასახავენ კატექოლამინურ სტრესს. ეპილეფსიით დაავადებულ, სხვა მხრივ ჯანმრთელ ახალგაზრდა პირთა post mortem გულის კუნთის ჰისტოლოგიური გამოკვლევებით ვლინდება ინტერსტიციური და პერივასკულური მრავალკეროვანი ფიბროზი და მიოფიბრილური ატროფია კორონარული არტერიების დაზიანების გარეშე [26]. აღსანიშნავია, რომ ინტენსიური კარდიომონიტორინგის პირობებში სერიულად მიმდინარე კრუნჩხვითი ეპილეფსიური გულყრების ფონზე არაერთგზის რეგისტრირდება ეკგ-ს რევერზიბელური ცვლილებები, მიოკარდის დაზიანების ენზიმური მარკერების მცირედი მომატება, მარცხენა პარკუჭის შექცევადი ჰიპოკინეზია (აპიკალური ნაწილის გამოკლებით) [27], რაც საფუძველს იძლევა მოსაზრება გამოითქვას სტანირებული მიოკარდის შესახებ.

სტრესს-დაკავშირებული კარდიომიოპათიული სინდრომები კარდიომიოპათიების იზოლირებულ ჯგუფს წარმოადგენენ. მანიფესტირებით, კლინიკურ-ლაბორატორიული ნიშნებით და მახასიათებლებით ისინი გამოკვეთილად ემსგავსებიან მწვავე კორონარულ სინდრომს ან იშემიით ინდუცირებულ მიოკარდიულ დაზიანებას, თუმცა სრულიად განსხვავებული ფიზიოლოგიური საფუძველი გააჩნიათ. არსებობს მნიშვნელოვანი მსგავსება სტრესს-დაკავშირებული კარდიომიოპათიული სინდრომების სხვადასხვა ფორმას, ნეიროგენურ-სტრეს კარდიომიოპათიას (NSC) და Tako-Tsubo კარდიომიოპათიას შორის. ორივე შემთხვევაში აღინიშნება გენდერული განწყობა, მარცხენა პარკუჭის ტრანზიტორული სისტოლური დისფუნქციის არსებობა კორონარული ობსტრუქციული დაავადების არარსებობის ფონზე, იშემიისათვის დამახასიათებელი ეკგ ცვლილებების და კარდიული ენზიმების კონცენტრაციის უმნიშვნელო მატება. თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნები ვლინდება რეგიონალური კუმშვადობის და ზოგიერთი ეკგ პარამეტრის თვალსაზრისით.

სტრესს-დაკავშირებული კარდიომიოპათიული სინდრომები შემდგომი კვლევის და შესწავლის საგანს წარმოადგენენ. მნიშვნელოვანია მათი დროული და ზუსტი იდენტიფიცირება, შესაძლო მაპროგნოზირებელი ფაქტორების და პაციენტთა მაღალი რისკის ჯგუფის გამოვლენა და შემდგომი გართულებების პრევენცია.

References

1. Bybee KA. et al. Stress-related cardiomyopathy syndromes. Circulation 2008; 118:397-409.
2. Wittstein IS, Thiemann DR, Lima JA, Baughman KL, Schulman SP, Gerstenblith G, Wu KC, Rade JJ, Bivalacqua TJ, Champion HC. Neurohumoral features of myocardial stunning due to sudden emotional stress. N Engl J Med 2005; 352(6):539-48
3. Zaroff JG, Rordorf GA, Ogilvy CS, Picard MH. Regional patterns of left ventricular systolic dysfunction after subarachnoid hemorrhage: evidence for neurally mediated cardiac injury. J Am Soc Echocardiogr 2000; 13(8): 774-9.
4. Mann DL, Kent RL, Parsons B, Cooper G 4th. Adrenergic effects on the biology of the adult mammalian cardiocyte. Circulation 1992; 85(2):790-804.

5. Dote K, Sato H, Tateshi H, Uchida T, Ishihara M. Myocardial stunning due to simultaneous multivessel coronary spasm: a review of 5 cases. *J Cardiol* 1991; 21(2):203-14.
6. Kawai S, Suzuki H, Yamaguchi H, Tanaka K, Sawada H, Aizawa T, Watanabe M, Tamura T, Umawatari K, Kawata M, Nakamura T, Yamanaka O, Okada R. Ampulla cardiomyopathy ("Takotsubo" cardiomyopathy) – reversible left ventricular dysfunction: with ST segment elevation. *Jpn Circ J* 2000; 64(2):156-9.
7. Tsuchihashi K, Ueshima K, Uchida T, Oh-mura N, Kimura K, Owa M, Yoshiyama M, Miyazaki S, Haze K, Ogawa H, Honda T, Hase M, Kai R, Morii I; Transient left ventricular apical ballooning without coronary artery stenosis: a novel heart syndrome mimicking acute myocardial infarction. *Angina Pectoris-Myocardial Infarction Investigations in Japan. J Am Coll Cardiol* 2001; 38(1):11-8.
8. Bybee KA, Kara T, Prasad A, Lerman A, Barsness GW, Wright RS, Rihal CS. Systemic review: transient left ventricular apical ballooning: a syndrome that mimics ST-segment elevation myocardial infarction. *Ann Intern Med* 2004; 141(11):858-65.
9. Gianni M, Dentali F, Grandi AM, Sumner G, Hiralal R, Lonn E. Apical ballooning syndrome or takotsubo cardiomyopathy: a systemic review. *Eur Heart J* 2006; 27(13):1523-9.
10. Burch GE, Meyers R, Abildskov JA. A new electrocardiographic pattern observed in cerebrovascular accidents. *Circulation*. 1954;9:719-723.
11. Khechinashvili G, Asplund K. Electrocardiographic changes in patients with acute stroke: a systemic review. *Cerebrovasc Dis*. 2002;14:65-66.
12. Banki N, Kopelnik A, Dae MW. Acute neurocardiogenic injury after subarachnoid hemorrhage. *Circulation* . 2005;112:3314-3319.
13. Tung P, Kopelnik A, Banki N. et al. Predictors of neurocardiogenic injury after subarachnoid injury. *Stroke* 2004;35:548-553.
14. Banki N, Kopelnik A, Tung P. et al. Prospective analysis of prevalence, distribution, and rate of recovery of left ventricular systolic dysfunction in patients with subarachnoid hemorrhage. *J Neurosurg*. 2006; 105:15-20.
15. Lee VH, OH JK, Mulvagh SL. Mechanisms in neurogenic stress cardiomyopathy after aneurismal subarachnoid hemorrhage. *Neurocrit Care*. 2006;5:243-249.
16. Andreoli A, di Pascuale G, Pinelli G, et al. Subarachnoid hemorrhage: frequency and severity of cardiac arrhythmias. *Stroke*, 1987,18:558-564.
17. Svirgeli V, Grad A, Tekavcic I, et al. Cardiac arrhythmia associated with reversible damage in insula in a patient with subarachnoid haemorrhage. *Stroke*. 1994, 25:1053-1055.
18. Brouwers P, Westenberg H, van Gijn J. Noradrenaline concentrations and electrocardiographic abnormalities after aneurismal subarachnoid haemorrhage. *J Neurol, Neurosurg, Psychiatr*. 1995, 23:374-379.
19. Zaroff JG, Rordorf GA, Ogilvy CS, Picard MH. Regional patterns of left ventricular systolic dysfunction after subarachnoid hemorrhage: evidence for neurally mediated cardiac injury. *J Am Soc Echocardiogr* 2000; 13(8): 774-9.
20. Park JH, Kang SJ, Song JK, et al. Left ventricular apical ballooning due to severe physical stress in patients admitted to the medical ICU. *Chest*. 2005;128:296-302.
21. Yoshinaga K, Tori H, Thara M. A serial echocardiographic observation of acute heart injury associate with pheochromocytoma crisis. *Int J Cardiol*. 1998;66:199-202.
22. Wang T, Wu C, Lee Y. Myocardial stunning after cerebral infarction. *Int J Cardiol*. 1997; 68:308-311.
23. Ohtsuka T, Hamada M, Kodama K. Images in cerebrovascular medicine. Neurogenic stunned myocardium. *Circulation* 2000, 101:2122-2124.
24. Chuang C, Chao C. Neurogenic stunned myocardium in a patient with metastatic brain tumors. *Int J Cardiol*. 2000, 76, 251-253.
25. Bernstein R, Mayer S, Magnano A. Neurogenic stunned myocardium in Guillain-Barre syndrome. *Neurology*, 2000, 54, 759-762.
26. Natelson B, Suarez R. Patients with epilepsy who die suddenly, have cardiac disease. *Arch Neurol*. 1998, 55, 857-860.
27. Chin P, Branch K, Becker K. Postictal neurogenic stunned myocardium. *Neurology*. 2005, 64:1977-1978.

Rational Pharmacotherapy of Endothelial Dysfunction in Patients with Ischemic Heart Disease

M.Rogava, T.Bochorishvili, N.Gongadze, T.Kezeli

Tbilisi State Medical University, Tbilisi State Javakishvili University, N.Kipshidze National Centre of Therapy, Tbilisi, Georgia

Introduction. Despite aggressive primary therapy of IHD, prognosis remains poor, accompanied with death of cardiac myocytes and chronic alterations of myocardial metabolism. As it was shown in modern investigations, an important role in the ischemic damage play the molecule of NAD, which now considered not only as key coenzyme of energy synthesis pathways, but as a signaling molecule for various critical cellular processes, such as cardiac metabolism, mitochondrial function, cellular redox reactions, calcium homeostasis, differentiation, genomic stability, aging and cell death [10, 11]. NAD also acts as the substrate of poly(ADP-ribose) polymerase (PARP) 1, which, once activated, catalyzes transfer of ADP-ribose moieties from NAD to target proteins. It was shown, that cerebral ischemia/reperfusion also results in PARP-1 overactivation and consequent decline of NAD levels in the brain [7-11]. NAD depletion is thought to suppress mitochondrial function and ATP generation, leading to the release of apoptosis-inducing factor (AIF) and eventually cell death [9]. Thus, NAD depletion is most likely to menace cell survival by repressing other NAD-dependent signaling pathways [10]. At the same time during ischemia, cellular ATP is degraded into AMP, adenosine, inosine and hypoxanthine. Adenosine and its primary metabolite inosine are ubiquitous nucleosides that can be released from ischemic or reperfused tissue [1] and some works propose that inosine may exert inotropic, vasodilatory and anti-inflammatory effects [1, 3, 7, 8, 9]. In contrast to adenosine which mainly acts via surface purine receptors, inosine might have more direct effect on intracellular signaling [11-13]. We hypothesized that drug Nadcin, containing NAD and inosine, in original ratio, may also cause effective cytoprotective effects by activation of life supporting protective pathway in the cell [8-10]. The aim of the present study was to investigate the effects of Nadcin on the severity of clinical symptoms, oxidative and inflammatory damage, endothelial dysfunction in patients with refractory form of AP.

Materials and methods. 161 patients (127 men and 34 women) 49 to 65 years ($57,8 \pm 6,8$ years) with IHD without left ventricular dysfunction and well documented vasospastic angina functional class (FC) II to IV by CCS despite maximally tolerated medical therapy were entered into the present study. Exclusion criteria: severe valve heart disease requiring surgical repair, acute infection and virus disease, symptoms of heart failure, renal disease requiring maintenance dialysis, history of neoplasia, drug or alcohol abuse, enrollment in any cell therapy trial in the past 2 years. All patients before including in the study used β -blockers (67 and 67 patients in control and main group), Ca-channels blockers (14 and 13), nitrates (72 and 70), ACE inhibitors (36 and 40), diuretic (12 and 11) and aspirin/lipid lowering agents (72/19 and 76/21). After a single-blind placebo run-in period, patients were randomized to receive cardioprotective drug Nadcin (2 ampoules) every morning or placebo (conventional therapy) in control group for 10 days. Serum LOOH levels were measured using the ferrous oxidation of xylenol orange 2 assay. Serum soluble intercellular adhesion molecule-1 (sICAM) levels were measured with the Parameter Human sICAM-1 Immunoassay Kit (R&D Systems, Minneapolis, Minnesota), Interleukin-6 (IL-6) levels using the Quantikine HS IL-6 R&D Systems kit, endothelin-1 (ET-1) using R&D Systems, for Human Immunoassay (Great Britain). The content of pyridine nucleotide was measurements according to [2] and velocity of O_2^- generation by [4]. All statistical analyses were performed with SPSS version 10 with alpha set to 0,05.

Results. There were no clinically relevant differences in the baseline characteristics of patients between main and control groups of the study cohort: age $56,9 \pm 6,9$ (63male/18female) and $58,7 \pm 6,5$ (64m/16f), CCS FC 18/32/26 – II/III/IV FC and 5 patients with asymptomatic ischemia and 17/30/28 – II/III/IV FC and 5 patients with asymptomatic ischemia in control and main groups, respectively. In main group FC of AP under treatment with Nadcin has been decreased from $3,20 \pm 0,25$ to $2,02 \pm 0,08$ (in control $3,15 \pm 0,3$ to $2,64 \pm 0,07$), frequency of angina pectoris attacks - by the 78% (41% in control), cyanosis disappeared in the 95% and 45% cases in main and control groups, respectively. Treatment with Nadcin occurred reduction of depth of a ST-segment and T-wave on the ECG.

Such improvement in the clinical status was coupled in main group with the significantly increase of the redox-potential and decrease the generation of O_2^- and ET-1 (table). Nadcin treatment was

associated with a more pronounced decrease in the levels of LOOH vs placebo treated patients over 10 days period ($p<0,01$). This indicates that treatment with Nadcin unlike conventional therapy increases resistance of lipoproteins to the oxidation. A significant correlation of NAD/NADH ($p=0,001$) with levels of sICAM-1, ET-1 and IL-6 were observed; however baseline levels of LOOH did not correlate with either of markers of inflammation or endothelial dysfunction. Worsening of the symptoms of AP conjugate with the increasing in plasma level of ET-1 more than 3-times under normal level which associated with the decrease of redox-potential (table).

Table. **Markers of energy metabolism, ROS production, inflammation and endothelial function.**

Parameters	Control group, n=81		Main group, n=80	
NAD, nMol/ml	14±2	13,7±1,9	13,5±1,3	16,0±1,2 ^{*#}
NADH, nMol/ml	18,0±3,0	18,1±2,8	18,8±2,2	19,2±1,9
NAD/NADH	0,77±0,05	0,76±0,04	0,72±0,05	0,83±0,04 ^{*#}
NADP	14±2	13,7±1,9	13,5±1,3	15,9±1,2
NADP/NADPH	0,79±0,06	0,76±0,05	0,72±0,04	0,86±0,04 ^{*#}
Velocity of O ₂ ⁻ generation, μMol/mg protein in min	69±8	72±10	78±9	39±8 ^{****}
Endothelin-1, pMol/ml	3,6±0,4	3,8±0,4	4,0±0,5	1,6±0,4 ^{****}
sICAM-1, ng/ml	2,2±0,3	2,0±0,3	2,5±0,2	1,4±0,2 ^{****}
LOOH, μMol/l	29,0±5,5	24,9±3,2	30,8±4,9	14,8±2,3 ^{****}
IL-6, pg/ml	2,7±0,5	2,4±0,3	2,9±0,3	1,7±0,2 ^{****}

Note: significant difference vs baseline - *, significant difference between control and main group - #, one symbol – $p<0,05$, two- $<0,01$, three - $<0,001$. In practically healthy person the NAD content in plasma is 20,7±1,4, NADP – 21,2±1,6 and NADH -20,5±1,8 nMol/ml; velocity of O₂⁻ generation - 45±5, μMol/mg protein in min; ET-1 -1,12±0,21 pMol/ml, IL-6 – 1,10±0,12 pg/ml.

The including of Nadcin leads to the decreasing the level of ET-1, velocity of O₂⁻ generation and low density lipids oxidation that's resulting in the improvement of vascular resistance [5,6]. There was a significant positive correlation between rate of superoxide anion generation and level of ET-1 in plasma ($r\ 0,87$, $p<0,001$). This data indicate that NAD/NADH contribute to endothelial dysfunction, oxidative modification of lipids and inflammation (the content of IL-6 increase in 2,45 and 2,63 fold in control and main group respectively), and through the activation of NADH-oxidase with the overproduction of superoxide anion (redox-potential disturbances correlate with the increasing of O₂⁻, $r\ 0,89$, $p<0,0001$).

Conclusion: Yearly, it has been shown [7,8,9], that administration of Nadcin in subacute stage of ischemic/reperfusion myocardial injury normalized redox potential of cardiomyocytes, the total content of adenyl and pyridine nucleotides and abolished the increasing of PARP-1 activity in the ischemic area of the right and left ventricle and nonischemic region. Ying W. (2007) under neurological diseases also proposed that NAD administration may have a long window of opportunity in decreasing ischemic brain injury. These results give ground to conclude that NAD replenishment via treatment with Nadcin may be a feasible therapeutic strategy of ischemic/reperfusion injury of the cell.

Rational Pharmacotherapy of Endothelial Dysfunction in Patients with Ischemic Heart Disease

M.Rogava, T.Bochorishvili, N.Gongadze, T.Kezeli

Tbilisi State Medical University, Tbilisi State Javakhishvili University, N.Kipshidze National Centre of Therapy, Tbilisi, Georgia

Summary: 161 patients (58,9±3,8 years) with ischemic heart disease (IHD) and angina pectoris (AP) II-IV functional class (FC) were randomized into two groups, main and control. Control group patients

received the traditional therapy and main group was additionally treated with cytoprotective drug Nadcin. FC of AP decreased from $3,15 \pm 0,3$ to $2,02 \pm 0,08$ and $3,1 \pm 0,3$ to $2,64 \pm 0,07$, frequency of AP attacks - by the 78% and 41%, cyanosis disappeared in the 95% and 45% cases in main and control groups, respectively. Treatment with Nadcin leads to the reduction of depth of a ST-segment and T-wave on the ECG and restoration the endothelial function. This improvement in the clinical status in main group was coupled with the increasing of the redox-potential, decreasing the generation of O_2^- , the content of interleukin-6, intercellular adhesion molecule-1.

References.

1. Backström T, Gojny M, Lockowandt U, et al. Cardiac outflow of amino acids and purines during myocardial ischemia and reperfusion. *J Appl Physiol* 2003;94:1122-1128.
2. Bessho M., Tajima T., Hori S., et al. NAD and NADH values in rapidly sampled dog heart tissues by two different extraction methods. *Analyt Biochem.* 1989; 182(2):308-318.
3. Bouma MG, van der Wildenberg FA, Buurman WA. The anti-inflammatory potential of adenosine in ischemia-reperfusion injury: established and putative beneficial actions of a retaliatory metabolite. *Shock* 1997;8:313-320.
4. Henderson LM, Chappell JB, Jones OT. The superoxide-generating NADPH-oxidase of human neutrophils is electrogenic and associated with an H^+ channel. *Biochem. J.* 1987; 246(2):325-329.
5. Feletou M., Vanhoutte PM. Endothelial dysfunction: a multifaceted disorder. *Am J Physiol Heart Circ Physiol.* 2006; 291:H985-H1002.
6. Peretti M. Endogenous mediators that inhibit the leukocyte-endothelium interaction. *Trends Pharmacol Sci* 1997;18:418-425.
7. Rogava M., Bochorishvili T., Malikov V., Arzumanyan M., Sukoyan G. Endothelial dysfunction mechanism and platelets membranes structural organization disorders under ischemic heart disease and its pharmacological correction. *Cardiology and internal medicine.* 2007; № 3-4 : 18-23.
8. Sukoyan GV, Andriadze NA, Guchua EI, Karsanov N.V. Effect of NAD on recovery of adenine nucleotide pool, phosphorylation potential, and stimulation of apoptosis during late period of reperfusion damage to myocardium. *Bull Exp Biol Med.* 2005; 139(1):46-49.
9. Sukoyan GV, Kavadze IK. Effect of nadcin on energy supply system and apoptosis in ischemia-reperfusion injury to the myocardium. *Bull Exp Biol Med.* 2008;146(3):321-4.
10. Sukoyan G., Rogava M., Bochorishvili T., Tatulashvili D. the rational pharmacocorrection of the systemic inflammatory heart disease.. *Cardiology and Internal medicine.* 2007; № 3-4 : 64-71.
11. Szabó G., Stumpf N., Radovits T., et al. Effects of inosine on reperfusion injury after heart transplantation. *Eur J Cardiothorac Surg* 2006; 30:96-102.
12. Ying W. NAD^+ and NADH in cellular functions and cell death. *Front Biosci.* 2006;11:3129 – 3148.
13. Ying W. Therapeutic potential of NAD^+ for neurological diseases. *Future Med.* 2007; 2(2):129-132.

პულმონური ჰიპერტენზიის გავრცელების სისშირე შინაგან სნეულებათა პრაქტიკაში

თ. გეგნავა, მ. გეგენავა, გ. ქავთარაძე, თ. ტყეშელაშვილი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,
შინაგანი მედიცინის №1 დეპარტამენტი

პულმონური არტერიული ჰიპერტენზია არის დაავადებების ჯგუფი, რომლებიც ხასიათდება პულმონური სისხლძარღვის რეზისტენტობის პროგრესული გაზრდით, იგი განაპირობებს მარჯვენა პარკუჭის დაზიანებას და ნაადრევ სიკვდილს.

პულმონურ არტერიაში წნევის გაზრდა დაკავშირებულია სხვადასხვა მექანიზმებთან: ვაზოკონსტრიქცია, ობსტრუქციული რემოდელირება პულმონური სისხლძარღვის კედლის, ანთება და თრომბოზი.

ძლიერი ვაზოკონსტრიქცია დაკავშირებულია კალიუმის არხების ფუნქციის დარღვევასთან და ენდოთელიარულ დისფუნქციასთან პულმონური არტერიული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში. პლაზმაში შემცირებულია ვაზოდილატატორები და ანტიპროლიფერაციული სუბსტანციის შემცველობა, როგორც არის ვაზოაქტიური ინტესტინული პეპტიდი.

ზოგიერთი ვაზოკონსტრიქტორის ჰიპერპროდუქცია თრომბოქსან A2 და ენდოთელინ-1 ზრდის სისხლძარღვთა ტონუსს და ხელს უწყობს სისხლძარღვთა რემოდელირებას. რემოდელირებას განიცდის სისხლძარღვთა კედლის სამივე შრე.

ანთებითმა უჯრედებმა ასევე შეიძლება შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი პულმონურ არტერიულ ჰიპერტენზიის განვითარებაში (PAH). PAH-ის შემთხვევაში პრო-ანთებითი ციტოკინები იმატებენ პლაზმაში. იცვლება სეროტონინის მეტაბოლიზმის გზები და პულმონური ვაზოკონსტრიქტორული სუბსტანცია დაგროვილი თრომბოციტებში.

პროთრომბული დარღვევები ასევე თვალსაჩინოა PAH-ისას. ამ დროს იმატებს ფიბრინოლექსინ-A-ს და თრომბოქსან 2-ის დონე, რომელიც გავლენას ახდენს თრომბინის აქტივობაზე.

კვლევის მიზანი: ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა პულმონარული ჰიპერტენზიის გავრცელების მაჩვენებლის განსაზღვრა შინაგან სნეულებათა პრაქტიკაში სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობების დროს

კვლევის მასალა და მეთოდები: კვლევა ტარდებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის №1 დეპარტამენტში (მიმართულება სინდრომული დიაგნოსტიკა), ავადმყოფობის ისტორიის ანალიზის საფუძველზე.

კვლევაში მონაწილეობდა 101 პაციენტი. მათ შორის 21 ქალი და 80 კაცი. გამოიყო ორი ასაკობრივი ჯგუფი: **პირველი**, რომელშიც წარმოდგენილი იყვნენ 45 ± 25 წ. ორივე სქესის წარმომადგენლები, ხოლო **მეორე** 25 ± 5 წ. წევრადგენები. ძირითადი დაავადებების მიხედვით, რომელთა არსებობის შემთხვევაში განისაზღვრა პულმონარული ჰიპერტენზიის მაჩვენებელი, გამოიყო ხუთი ჯგუფი: I-ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ პაციენტები, რომელთაც აღენიშნათ ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება $n=16$. მე-2 ჯგუფში წარმოდგენილი იყვნენ პაციენტები, რომელთაც აღენიშნათ მწვავე პნევმონია $n=23$. მე-3 ჯგუფი შედგებოდა პაციენტებისაგან, რომელთაც აღენიშნებოდათ კარდიოვასკულარული პათოლოგია $n=25$. მე-4 ჯგუფში წარმოდგენილი იყვნენ პაციენტები სხვადასხვა შემავრთველქსოვილოვანი პათოლოგიით ან გასტროენტეროლოგიური დარღვევით $n=10$. მე-5 ჯგუფში გაერთიანდნენ წევრადგენები $n=27$.


კვლევის მეთოდები: ფილტვის არტერიაში წნევის განსაზღვრა ხდებოდა ორგანო-მილებიანი (2D) ტრანსტორაკალური (TTE) ექოკარდიოგრაფიის საშუალებით, დოპლერული გამოკვლევის თანხლებით. TTE არის არაინვაზიური კვლევის მეთოდი პულმონური ჰიპერტენზიაზე ეჭვის მქონე პაციენტებში. ტრანსტორაკალური დოპლერ-ექოკარდიოგრაფია აფასებს პულმონური არტერიის სისტოლურ წნევას (PASP) და შეუძლია მოგვაწოდოს დამატებითი ინფორმაცია პულმონური ჰიპერტენზიის მიზეზის და შედეგების შესახებ. PASP არის ეკვივალენტი მარჯვენა პარკუჭის სისტოლური წნევის (PVSP). PVSP ფას-

დება სისტოლური ტრიკუსპიდული რეგურგიტაციის ძალით (V) და მარჯვენა წინაგულის წნევით (RAP), შემდეგი ფორმულის საშუალებით: $PVSP = 4v2 + RAP$. RAP არის სტანდარტული რიცხვი ან ფასდება მახასიათებლებით ქვემო ღრუ ვენიდან ან საუღლე ვენიდან. მრავალი კვლევები ადასტურებს მაღალ თანაფარდობას (0,57-0,93) TTE-სა და მარჯვენა გულის კათეტერიზაციას შორის PASP-ის გაზომვისას.

პულმონარული ჰიპერტენზიის განსაზღვრისათვის ასევე გამოვიყენეთ ელექტროკარდიოგრაფიულ კვლევა და გულმკერდის რენტგენოგრაფია.

მიღებული შედეგები და მათი ანალიზი: მიღებული შედეგების ანალიზით გაირკვა, რომ პულმონარული ჰიპერტენზია მნიშვნელოვნადაა გავრცელებული შინაგან სნეულებათა პრაქტიკაში. იგი აღენიშნა კარდიოვასკულური დაავადების ჯგუფში შემავალ თითქმის ყველა პაციენტს და უხშირესად ასოცირდებოდა გულის უკმარისობის სიმპტომების არსებობასთან. ასევე მნიშვნელოვნად გამოიხატა პულმონარული ჰიპერტენზია პნევმონიისა და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მქონე პაციენტებში, განსაკუთრებით ხანგრძლივი ანამნეზური მონაცემების არსებობის პირობებში (5-15 წელი) (სურ-1). რაც შეეხება წვევამდელებს პულმონარული ჰიპერტენზია მხოლოდ მათ მცირე ნაწილში იყო გამოხატული და ძირითადად ასოცირდებოდა გულის თანდაყოლი მანკის არსებობასთან.

სურათი №1: პულმონარული ჰიპერტენზიის გავრცელების სიხშირე შინაგან სნეულებათა პრაქტიკაში



გამოხატული-მაღალი ხარისხის პულმონარული ჰიპერტენზია განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით გამოვლინდა კარდიოვასკულური დაავადების არსებობის შემთხვევაში $n=18$ (72%), ასევე მნიშვნელოვნად გამოვლინდა ის პნევმონიის $n=14$ (60,86%) და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების არსებობის შემთხვევაში $n=9$ (56,25%).

მსუბუქი ხარისხის პულმონარული ჰიპერტენზია მეტად გამოიკვეთა წვევამდელთა ჯგუფში (დანარჩენ ჯგუფებთან შედარებით) $n=9$ (33,33%). რაც შეეხება მკვეთრი ხარისხის პულმონარულ ჰიპერტენზიას ის თითქმის თანაბრად გამოვლინდა ყველა ჯგუფში და მერყეობდა 6,25-8,69%-ის ფარგლებში.

ტრანსთორაკალური ექოკარდიოგრაფიული კვლევით ტრიკუსპიდული რეგურგიტაცია, მარჯვენა წინაგულისა და პარკუჭის დილატაცია აღენიშნა ყველა იმ პაციენტს სადაც გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარისხის პულმონარული ჰიპერტენზია.

ელექტროკარდიოგრაფიული კვლევით მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიის და დაბავის ნიშნებით და მარჯვენა წინაგულის დილატაცია გამოიხატა იმ პაციენტთა უმრავლესობაში სადაც გამოვლინდა მკვეთრი და გამოხატული პულმონარული ჰიპერტენზია. მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფია ეკგ-ზე წარმოდგენილია 80% შემთხვევაში, ხოლო ღერძის მარჯვნივ გადახრა 75%-ში.

ჩვენს მიერ შესწავლილი პაციენტების ნაწილს (და არა მის სრულ შემადგენლობას) ჰქონდათ ჩატარებული არტერიული აირების გამოკვლევა PaO_2 , $PaCO_2$. გაირკვა, რომ O_2 -ის დაქვეითებული და CO_2 -ის გაზრდილი მაჩვენებლები კორელაციურ დამოკიდებუ-

ლებაში იყო პულმონარული ჰიპერტენზიის მანველებელთან. ყველა გამოკვლეული ჯგუფის პაციენტებში (წვევამდელების გარდა, სადაც ანალოგიური გამოკვლევა არ ჩატარებულა).

ცხრილი №1 გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა წვევამდელებსა და სხვა ჯგუფებს შორის ($P<0.05$).

	პნევმონია	კარდიოვასკულური დაავადება	სხვა დაავადებები	ფილტვების ქრ. ობსტ. დაავადება	წვევამდელები
პნევმონია		=0.295	=0.714	=0.424	<0.001
კარდიოვასკ. დაავადება	=0.295		=0.192	=0.06	<0.001
სხვა დაავადებები	=0.714	=0.192		=0.751	=0.001
ფქოდ	=0.424	=0.06	=0.751		=0.001
წვევამდელები	<0.001	<0.001	=0.001	=0.001	

მიღებული შედეგების ანალიზით გაირკვა, რომ პულმონარული ჰიპერტენზია მნიშვნელოვნად გაზრდილი შინაგან სხეულებათა პრაქტიკაში ($P<0.001$, $P<0.001$ $P=0.001$, $P=0.001$, $P<0.001$ ცხ.1). იგი უხშირესად ასოცირდება იმ მდგომარეობებთან, რომლებიც რთულდება გულის უკმარისობით, ან იწვევს ფილტვების სასუნთქი ზედაპირის მნიშვნელოვან შემცირებას და წინააღმდეგობის გაზრდას პულმონარულ არტერიაში. აღნიშნულიდან გამომდინარე პრობლემა მეტად აქტუალურია და საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

Frequency of Pulmonary Arterial Hypertension in Practice of Internal Medicine

T. Gegenava, M. Gegenava, G. Kavtaradze, T. Tkeshelasvili
Tbilisi State Medical University, Department of internal Medicine №1

Pulmonary arterial hypertension is defined as a group of diseases characterized by a progressive increase of pulmonary vascular resistance leading to right ventricular failure and premature death.

Aim of our study was to determine frequency of PAH with the different pathological conditions in practice of Internal Medicine.

Materials and methods: Research has taken place in Tbilisi State Medical University Internal Medicine №1 department on the basis of retrograde analysis of case histories. 101 patients took part in the research: 21 women and 80 men. They were divided into five groups according to the main disease: 1) COPD – $n=16$. 2) Acute pneumonia – $n=23$. 3) Cardiovascular disease – $n=25$. 4) Connective tissue diseases or Gastroenterological pathology – $n=27$. 5) Youth of paramilitary ages – $n=27$ Determination of PAP was possible by 2D Transthoracic Doppler-echocardiography. Chest radiograph and ECG were also performed.

Received results and their analysis: According to our study PAH is widely extended in IM. The most patients with cardiovascular disease had PAH (almost all of them had symptoms and signs of heart failure). Also there was a high frequency of PAH in patients with acute pneumonia and COPD. And as for youth of paramilitary ages the only few numbers of them had expressed PAH.

High level of PAH was manifested in patients with cardiovascular disease $n=18$ (72%); In cases of pneumonia $n=14$ – it was 60,86% and in COPD $n=9$ – 56,25%. The low level of PAH was in youth of paramilitary ages $n=9$ (33,33%).

By transthoracic echocardiography TR, RA and RV dilatation were observed in every patient with important degree of PH.

By ECG signs of RV and RA hypertrophy were expressed in great majority of patients with high degree of PH. Furthermore, RV hypertrophy was in 80% of patients and right deviation of axis in 75%.

The results have shown, that PAH is widely extended in practice of internal medicine and mostly it's associated with conditions, which are themselves often complicated by heart and respiratory failure. The problem is really actual and it needs particular attention. Early diagnostic and treatment give the possibility to control disease and avoid complications.

ლიტერატურა:

1. Behrsin RF, da Silva Junior CT, Gabetto JM, Lima Ode A. Lung volume reduction surgery (LVRS): criteria for selecting patient in Antonio Pedro Hospital, Federal Fluminense University, Niter i city, Rio de Janeiro, Brazil / Rev Assoc Med Bras. 2003 Jul-Sep;49(3):274-7. Epub 2003 Nov 5. Portuguese
2. Fayssol A, Abasse S, Nardi L./Right ventricular assessment with echocardiography. / Med Sci (Paris). 2009 May;25(5):513-518. French
3. Felizardo M, Aguiar M, Mendes A, Moniz D, Sotto-Mayor R, Almeida A Collagen vascular diseases and lung: Characterization of the outpatients with interstitial lung disease./Rev Port Pneumol. 2005 Nov;11(6 Suppl 1):26-7. Portuguese.
4. McLure LE, Peacock AJ/ Cardiac magnetic resonance imaging for the assessment of the heart and pulmonary circulation in pulmonary hypertension./ Eur Respir J. 2009 Jun;33(6):1454-1466
5. Román JS, Hernández FJ, Palma MJ, Medina CO /Diagnosis and treatment of pulmonary hypertension./Rev Clin Esp. 2008 Mar;208(3):142-55. Review. Spanish

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა ეუთირეოიდული ჩიყვის დროს

*ქ. მათიაშვილი, რ. წიგწივაძე, გ. ჩახუნაშვილი, მ. ჯვარიძე,
ს. ჩხეიძე, დ. ჩახუნაშვილი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*

დიფუზური ეუთირეოიდული ჩიყვის დროს აღინიშნება ფარისებრი ჯირკვლის ზო-
ლული ან საგრძნობი გადიდება, რომელიც ვითარდება იოდის დეფიციტის ფონზე. ჩიყ-
ვის ჩამოყალიბება წარმოადგენს მაკომპენსირებელ რეაქციას, რომელიც მიმართულია,
იოდის დეფიციტის პირობებში, ორგანიზმში თირეოიდული ჰორმონების მუდმივი კონცე-
ტრაციის შენარჩუნებისაკენ.

ჯანმოს მონაცემებით ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 655 მილიონს აღენიშნება ენ-
დემიური ჩიყვი და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მისი გავრცელების პროცენტი
15-40%-მდე მერყეობს [7].

წარსულში ენდემიური ჩიყვი საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და
ჯანმოს კლასიფიკაციური შკალის მიხედვით შეფასებული იყო როგორც მძიმე [1,2]. და-
ავადების სიხშირე მთიან რეგიონებში 88%-ს აღწევდა, ბარის რაიონებში კი 55%-ს. საერ-
თაშორისი ორგანიზაციების ხელშეწყობით დაიწყო პრევენციული ღონისძიებების გატა-
რება [2], რომელიც დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის
სხვადასხვა რეგიონებში ამ დაავადების მაღალი მაჩვენებლების გამო, 21-ე საუკუნის
პირველ ათწლეულში საქართველოში ეს პრობლემა კვლავ აქტუალური რჩება.

ეუთირეოიდული მდგომარეობის დროს პაციენტები უჩივიან საერთო სისუსტეს,
ადვილად დაღლას, თავის ტკივილს, უსიამოვნო შეგრძნებას გულის არეში. ეს ჩივილები

ძლიერდება ფარისებრი ჯირკვლის III ხარისხის ჰიპერპლაზიის დროს და ასახავს ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონალურ დარღვევებს [3,5,6].

ეუთირეოიდული ჩიყვის დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანებანი დღეისათვის ნაკლებად შესწავლილი პრობლემაა [8,10]. ეუთირეოიდული ჩიყვის ფონზე, ენდოკრინული დარღვევების შედეგად მიოკარდში ვითარდება შექცევადი მეტაბოლური ცვლილებები და ირღვევა ენერგეტიკული ბალანსი, რაც გულის გამტარ სისტემაზე ახდენს ზეგავლენას და ხელსუწყობს კარდიომიოპათიის განვითარებას [4].

ეუთირეოიდული ჩიყვი ასოცირდება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა განვითარების მაღალ რისკთან და მის ფონზე ამ დაავადებათა განვითარების რისკი 2-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ზოგად პოპულაციაში [7,9].

შრომის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია ეუთირეოიდული ჩიყვით დაავადებულებში.

მასალა და მეთოდები: ჩვენი დაკვირვებების ქვეშ ინყოფებოდა ეუთირეოიდული ჩიყვით დაავადებული 62 პაციენტი. მათგან 40 ქალი და 22 მამაკაცი, პაციენტთა საშუალო ასაკი იყო 36 ± 12 ; საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა იმავე ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელი 25 მოზრდილი.

ყველა ავადმყოფს ჩაუტერდა კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევა, რომელიც მოიცავდა ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევას ულტრაბერითი სკანირებით (აპარატი სონილაინსი), ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების – თიროქსინისა (T4) და ტრიოდთირონინის (T3) კონცენტრაციის განსაზღვრას რადიო-იმუნოლოგიური მეთოდით, აგრეთვე ელექტროკარდიოგრაფიას, ფონოკარდიოგრაფიას, ექოკარდიოგრაფიას.

მიღებული მასალის სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა კომპიუტერული პროგრამა **SPSS 11** პაკეტით.

პაციენტთა 19,3%(12)-ს აღენიშნებოდა ფარისებრი ჯირკვლის I ხარისხის ჰიპერპლაზია, 48,7%(30)-ს II ხარისხის და 32%(20)-ს კი III ხარისხის ჰიპერპლაზია. ექოგენურობა 5 შემთხვევაში იყო დაქვეითებული, დანარჩენ შემთხვევაში ნორმის ფარგლებში, კისტა ან კვანძი არ დაფიქსირებულა.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ეუთირეოიდული ჩიყვით დაავადებულებს ახასიათებდათ სისხლის შრატში თიროქსინისა და ტრიოდთირონინის კონცენტრაციის შემცირება. ეს ცვლილებები კორელირებდა ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერპლაზიის ხარისხთან და შესაბამისად თიროქსინისა და ტრიოდთირონინის შემცველობა სისხლის შრატში ყველაზე დაბალი იყო III ხარისხის ჰიპერპლაზიის დროს (ცხრილი №1).

ცხრილი №1: თიროქსინისა და ტრიოდთირონინის კონცენტრაცია სისხლის შრატში ეუთირეოიდული ჩიყვის დროს.

მაჩვენებლები	საკონტროლო ჯგუფი n=25	ეუთირეოიდული ჩიყვი I ხარისხი n=12	ეუთირეოიდული ჩიყვი II ხარ. n=30	ეუთირეოიდული ჩიყვი III ხარ. n=20
თიროქსინი (T4) (ნ. მოლი/ლ) P<	113.87 ± 3.93	110.76 ± 4.65 P<0.05	107.62 ± 5.4 P<0.001	61.79 ± 8.77 P<0.001
ტრიოდთირონინი (T3) (ნ.მოლი/ლ) P<	1.54 ± 0.15	1.44 ± 0.25 P<0.05	1.05 ± 0.25 P<0.001	0.93 ± 0.12 P<0.001

მიღებული შედეგების ანალიზით ავადმყოფთა 50%-ს დაუდგინდა სხვადასხვა სახის სუბიექტური ჩივილები. კერძოდ, 43 პაციენტი უჩიოდა ადვილად დაღლას, 18 – ქოშინის ფიზიკური დატვირთვის დროს, 14 – თავბრუსხვევას, 9-ს ანამნეზში აღნიშნავდა სინკოპეს. ამასთანავე აღნიშნული ჩივილები ძირითადად გამოვლინდა ფარისებრი ჯირკვლის III ხარისხის ჰიპერპლაზიის დროს, I ხარისხის ჰიპერპლაზიის დროს. დროს ადვილად დაღლას უჩიოდა მხოლოდ 4 პაციენტი.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის შესწავლისას ეუთირეოიდული ჩიყვით დაავადებულებში აღინიშნებოდა ტაქიკარდია, აუსკულტაციით გულის ტონების მოყრუება, სისტოლური შუილი მწვერვალზე და მე-5 წერტილზე. ეკგ-ზე რეგისტრირდებო-

და P და T კბილის ცვლილება, ST სეგმენტის ცდომა იზოელექტრული ხაზის ზემოთ. ფონოკარდიოგრაფიაზე აღინიშნებოდა გულის ტონების ამპლიტუდის დაქვეითება, დაბალამპლტუდიანი სისტოლური შუილი. ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევისას პაციენტთა 1/2 - ს აღინიშნებოდა მხოლოდ მარცხენა პარკუჭის მიოკარდიუმის ჰიპერტროფია, იშვიათად აღინიშნებოდა მარჯვენა პარკუჭის მიოკარდიუმის ჰიპერტროფია. ამასთანავე, თუკი მარცხენა პარკუჭის მიოკარდიუმის ჰიპერტროფია თანაბარი სიხშირით გვხვდებოდა ფარისებრი ჯირკვლის II და III ხარისხის ჰიპერპლაზიის დროს, გულის ორივე პარკუჭის ჰიპერტროფია უფრო ხშირი იყო III ხარისხის ჰიპერპლაზიის დროს დროს.

წინაგულთა ჰიპერტროფია გვხვდებოდა მხოლოდ III ჯგუფის პაციენტებში. კერძოდ, 1/3 შემთხვევაში გვხვდებოდა პარცხენა წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნები, მათგან 50% შემთხვევაში ის შერწყმული იყო მარჯვენა წინაგულის ჰიპერტროფიასთან. იზოლირებულად, მარჯვენა წინაგულის ჰიპერტროფია რეგისტრირებული იყო მხოლოდ ორ პაციენტთან.

ეუთირეოიდული ჩიყვით დაავადებულთა დამახასიათებელი ეკგ პარამეტრი იყო პათოლოგიური Q კბილი, რომელიც უპირატესად გვხვდებოდა ფარისებრი ჯირკვლის I და II ხარისხის ჰიპერპლაზიით მიმდინარე ეუთირეოიდული ჩიყვის დროს და ცალკეულ პაციენტებში მისი სიღრმე აღწევდა 10-16მმ-ს. ასევე ხშირი იყო გულის პარკუჭების ელექტრული სისტოლის გახანგრძლივება.

ფარისებრი ჯირკვლის III ხარისხის ჰიპერპლაზიით მიმდინარე ეუთირეოიდული ჩიყვის ეკგ მახასიათებელს მიეკუთვნებოდა პარკუჭთა რეპოლარიზაციის დარღვევა, რაც გამოიხატებოდა STსეგმენტის იზოხაზიდან გადახრით, T კბილის ამპლიტუდის შემცირებით, ორფაზიანობით ანდა ინვერსიით I, aVL და V4-6 განხრებში. სისხლის შრატში თიროქსინისა და ტრიოდთირონინის დაბალი შემცველობის დროს პაციენტთა 13,5%-თან ეკგ-ზე V4-6 განხრებში რეგისტრირდებოდა მაღალი, ვიწროფუძიანი, წამახვილებული T კბილი, ასევე უფრო მაღალი სიხშირით გვხვდებოდა პარკუჭოვანი QRS კომპლექსის ცვლილებები, ვიდრე მაშინ, როცა ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების კონცენტრაცია ნორმიდან უმნიშვნელოდ იყო გადახრილი.

ცხრილი №2: არითმიების სიხშირე, ეკგ მონაცემებით, ეუთირეოიდული ჩიყვის დროს დროს ბავშვებში

№	რიტმისა და გამტარებლობის დარღვევის სახეები	ეუთირეოიდული ჩიყვი I ხარისხი n=12		ეუთირეოიდული ჩიყვი II ხარ. n=30		ეუთირეოიდული ჩიყვი III ხარ. n=20	
		აბს.	%			აბს.	%
1	სინუსური ტაქიკარდია	4	33,3	12	40	9	45
2	სინუსური ბრადიკარდია	3	25	9	30	8	40
3	ექტოპიური რიტმი	2	16,6	3	10	4	20
4	სუპრავენტრიკულური ექსტრასისტოლია	-	-	6	20	8	40
5	პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია	-	-	3	10	3	15
6	სუპრავენტრიკულური პაროქსიზმული ტაქიკარდია	-	-	-	-	2	10
8	ტრიოვენტრიკულური გამტარებლობის ტრანზ. დარღვევა	-	-	-	-	2	10
9	პარკუჭთაშიდა გამტარებლობის ტრანზ. დარღვევა	-	-	1	-	2	10

ეკგ-ზე გულის რიტმისა და გამტარებლობის დარღვევები აღინიშნებოდა ავადმყოფთა 64%-ს(ცხრილი №2). მათგან სინუსური ტაქიკარდია გამოუვლინდა 45%-ს, სინუსური

ბრადიკარდია – 40%-ს, გულის რითმის გაიშვია-თება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო II და III ჯგუფში და პაციენტთა მესამედში გულის შეკუმშვათა სიხშირე შეადგენდა 48-54-ს წუთში.

სინუსური ექსტრასისტოლია, პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია და წინაგულოვანი ექსტრასისტოლია თანაბარი სიხშირით გვხვდებოდა ორივე ჯგუფში, შედარებით იშვიათად მაგრამ მხოლოდ ეუთირეოიდული ჩივეის III ხარისხის დროს აღინიშნებოდა წინაგულთაშორისი, ატრიოვენტრიკულური და პარკუჭთაშორისი გამტარებლობის დარღვევა.

სუპრავენტრიკულური პაროქსიზმული ტაქიკარდია შეგვხვდა მხოლოდ 2 პაციენტთან პულისის სიხშირით 130-155 წუთში. პარკუჭოვანი პაროქსიზმული ტაქიკარდია არც ერთ ჯგუფში არ შეგვხვდებოდა, რაც ეთანხმება ლიტერატურულ მონაცემებს (ცხრილი №2).

ამგვარად: – ეუთირეოიდული ჩივეის დროს აღინიშნებოდა თიროქსინისა (T4) და ტრიიდთირონინის (T3) კონცენტრაციის შემცირება, რაც კორელირებდა ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერპლაზიის ხარისხთან.

ეუთირეოიდული ჩივეით დაავადებულებში, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის შესწავლისას, გამოვლინდა ტაქიკარდია, აუსკულტაციით გულის ტონების მოყრუება, ზოგჯერ სისტოლური შუილი მწვერვალზე და მე-5 წერტილზე, ეკგ-ზე P და T კბილის ცვლილება, პათოლოგიური Q კბილი, ST სეგმენტის ცდომა იზოელექტრული ხაზის ზემოთ.

– გულის მხრივ მკვეთრად გამოხატული ცვლილებები აღინიშნა ფარისებრი ჯირკვლის III ხარისხის ჰიპერპლაზიით მიმდინარე ეუთირეოიდული ჩივეის დროს. კერძოდ, ეკგ-ზე მაღალი, ვიწროფუძიანი, წამახვილებული T კბილი V4-6 განხრებში და პარკუჭოვანი QRS კომპლექსის ცვლილებები. I ხარისხის ჰიპერპლაზიის დროს კი ეკგ მაჩვენებლები შედარებით ნაკლებად ინფორმატიული იყო.

Cardio-Vascular System and Euthyroid Goiter

K. Matiashvili, R. Tsvitsivadze, G. Chakhunashvili, M. Jvaridze, S. Chkheidze, D. Chakhunashvili
The pediatric clinic of Tbilisi State Medical University

Key words: cardio-vascular system, Euthyroid goiter.

The aim of the study was to investigate the function of thyroid glands as well and our aim was the investigation of cardio-vascular system in patients with Euthyroid goiter. The investigation was carried out on 62 patients with Euthyroid goiter who underwent Ultrasonography of the thyroid glands in serum of blood, concentration of thyroid hormones T4 and T3 also were studied.

The analyses show, that ECG findings are less informative for the first group. Cardiac rhythm disorders occur most frequently for the second group: sinus tachycardia, rarely sinus bradycardia, sometime left ventricular hypertrophy was observed. On early stage of left ventricular hypertrophy the most informative are: R-wave amplitude in V4- V6 and depth in the right chest leads (V1- V2). The ECG findings of hypertrophy occur rarely with diabetes mellitus and have no diagnostic value. The small voltage of ECG findings, ST segment depression, 1-wave inversion, marked U-wave in standard and left chest leads, indicative the dilatative cardiomyopathy, occur in the patients of the third group.

Left ventricular diastolic function changes were observed on the echocardiograms for the II group. It was expressed by increasing of apical and integral speed of transmitral flow. The severity of these processes develops parallel with duration of the disease. The tendency of left ventricular hypertrophy was observed in the third group.

ლიტერატურა:

1. მინდორაშვილი, რ. ურუშაძე, ზ. სეხნიაშვილი, ნ. ვეფხვაძე/საქართველოში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის 10წლის შედეგები და პროფილაქტიკის გზები/ მოხსენებითი ბარათი ჯანდაცვის მინისტრისადმი. თბილისი 11.06.2001წ №976. 51გვ.

2. ეროვნული მოხსენება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. თბილისი 2006წგვ98-101
